# ნაკადული

ISSN 0868—5177

8
1990

140
1990



ეროვნული
ბიბლიოთეკა



კონსტანტინე გაბაშვილი

გვესაუბრება საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე კონსტანტინე გაბაშვილი

# სკოლა დღეის და ხვალის

**— ბოლო წლებში აშკარა გახდა, რომ ქვეყანაში დამკვიდრებული სწავლა-განათლების სისტემა, კერძოდ, საშუალო სკოლა, არამც და არამც არ პასუხობს თანამედროვეობის მოთხოვნებს. როგორც იქნა, ამის შესახებ ხმამაღლა ითქვა, თითქოს სამოქმედო გზებიც დაისახა, ასე ვთქვათ, სასკოლო რეფორმაც კი შემუშავდა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ალბათ ვერც დაიძვრებოდა, დაბორკილ ეროვნულ თვითშეგნებას თავი რომ არ აეხსნა, და აი, დღეს ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სკოლებში ნამდვილად დაიწყო ძირეული გარდაქმნის პროცესი, რომლის მთავარი მიზანია ისეთი ახალგაზრდების აღზრდა, ახალ საქართველოს რომ ესაჭიროება. რა დაინერგა სადღეისოდ ჩვენს სკოლებში კონკრეტულად — განათლების ეროვნული კონცეფციიდან გამომდინარე?**

— მოგეხსენებათ, განათლების ეროვნული კონცეფციის განხორციელება ერთი და ორი წლის საქმე არაა, და მაინც შეიძლება ითქვას, რომ მისი ცალკეული დებულებები უკვე ტარდება სკოლის ცხოვრებაში. თამამად ინერგება პროფილური სწავლება; გიმნაზიად გადაკეთდა თბილისის რამდენიმე სკოლა, ამ სასწავლო წლიდან გიმნაზია ექნებათ ჩოხატაურელებსაც (თვით ჩოხატაურელთა თხოვნის შესაბამისად), მთის რეგიონის შესაფერისი სკოლის მოდელს მიიღებს სოფელი მაღაროსკარი. არის ბევრი საინტერესო კონკრეტული პროექტი, რომელთა მომზადება თანდათანობით ხდება. საქმე ისაა, რომ თუ მაღალი კვალიფიკაციის თანამოაზრე მასწავლებლები არ გაერთიანდნენ ამგვარი საქმის ასაწყობად, კვლავ სახელწოდების დონეზე ცვლილებას მივიღებთ. ამიტომ, ასეთი პროექტები გულდასმით უნდა მომზადდეს.

საფუძვლიანად გადავხედეთ სასწავლო გეგმებს, რიგ საგნებში ხელახლა განაწილდა საათების რაოდენობა, ამის შედეგად გაიზარდა საქართველოს ისტორიისთვის განკუთვნილი საათები ზედა კლასებში, ახალი სასწავლო წლიდან მეხუთეკლასელები მიიღებენ საკითხავ წიგნს საქართველოს ისტორიაში, ყმაწვილები ისწავლიან მსოფლიო ისტორიას, მსოფლიო გეოგრაფიას; პირველი იანვრისთვის ავტორთა კოლექტივები წარმოგვიდგენენ ახალ სახელმძღვანელოებს ამ საგნებში. შეჩერდა ცალკეული საგნების სწავლება, შეჩერებულია, კერძოდ, საზოგადოებათმცოდნეობის, სამართლის საფუძვლების სწავლება. ასე იქნება ახალი, რეალური სახელმძღვანელოების შექმნამდე. დამოუკიდებლად აღარ ისწავლება სამხედრო საქმე, ამიერიდან იგი ფიზკულტურას დაუკავშირდება და, შესაბამისად, ახალ შინაარსსაც შეიძენს. თავისთავად, აღარც ფიზკულტურის გაკვეთილები იარსებებს ახლანდელი სახით — მათემატიკისა და ბიოლოგიის გაკვეთილებს შორის ჩატარებული 45-წუთიანი ფიზკულტურის გაკვეთილი არაფერს იძლევა, აქ უთუოდ წრეობრივი მეცადინეობაა საჭირო; რეალურად ასე უნდა იყოს—გაკვეთილების შემდეგ კვირაში 2-3-ჯერ, ბავშვებმა თითო საათი უნდა ივარჯიშონ მათ მიერვე არჩეულ სპორტის სახეობაში.

მეტი გასაქანი მიეცემა ფაკულტატიურ სწავლებას. მაგალითად, რიგ სკოლებში, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს (მხედველობაში გვაქვს სათანადო დონის მასწავლებლები), ეკლესიასთან შეთანხმებით ისწავლება რელიგიის ისტორია...

**— ბატონო კოტე, სახელმძღვანელოების საქმე როგორღაა?**

— მთელ რიგ საგნებში ახალი სახელმძღვანელოები მზადდება, ნაწილი უკვე იბეჭდება და მათ სასწავლო წლის დასაწყისისათვის მივაწვდით სკოლებს, ნაწილი კი ქაღალდის დეფიციტისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო მოგვიანებით იქნება მზად. მას შემდეგ, რაც ძირფესვიანად გადაისინჯა სასწავლო პროგრამები და, უპირველესად ყოვლისა, ლიტერატურისა და ისტორიის პროგრამები, სახელმძღვანელოებიდან ამოღებულია ბევრი ნაწარმოები, ზოგი იმიტომ, რომ ყალბია და არ შეესაბამება რეალობას, ზოგიც იმიტომ, რომ პოლიტიზებულია, ჩვენ კი, მოგეხსენებათ, გადაჭრით აღვუდექით წინ სიყალბესაც და პოლიტიზებასაც ცხოვრების ყველა სფეროში და,

მით უმეტეს, მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის სფეროში.

**— ალბათ გეზი მთელ რიგ რაიონებში ახალი ქართული სკოლების გახსნასაც ითვალისწინებს...**

— დიახ, და ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა იქ, სადაც ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვს, უთუოდ გაიხსნას ახალი სკოლა, თუნდაც ბავშვების რაოდენობა მცირე იყოს. შენდება და მზადდება სკოლები იმ სოფლებში, სადაც სტიქიურ უბედურებას გამორიდებული აჭარლები დასახლდნენ და სახლდებიან, ქართული სკოლა გაიხსნა ბოგდანოვკაშიც, ახალი სკოლები კიდევ გაიხსნება.

საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩვენი გაძლიერებული ყურადღების საგანია. ახლახან ჩვენ კიდევ ერთხელ, თავიდან, უკვე ეროვნული კონცეფციის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, გადავხედეთ ამ საკითხს და პერსპექტიული გეგმებიც გამოვიმუშავეთ, რომელთა განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს დასახული მიზნის მიღწევას, მაგრამ... მაგრამ სკოლა, მოგეხსენებათ, მარტო მოსწავლეები არაა, მასწავლებლების საქმე კი ჯერჯერობით ვერ არის კარგად, ჩვენს ახალგაზრდა პედაგოგებს სწორედ იმ რაიონებში არ უნდათ წასვლა, სადაც ყველაზე მეტად არიან საჭირონი. რა თქმა უნდა, მიდიან, აგერ ახლაც ხუთი ქალიშვილი წავიდა ადიგენის რაიონში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მასობრივად არ ხდება, არ დასულა სათანადოდ ჯერ ყველას ცნობიერებამდე ის ამბავი, რომ ეს ერის წინაშე ვალის აღსრულების გამოხატულებაა...

**— არადა, ახალ, მომავლის სკოლას მასწავლებელიც ახალი სჭირდება...**

— რა თქმა უნდა, ახალ ცხოვრებას ახალი მოთხოვნილებები და კრიტერიუმები მოაქვს, უთუოდ უნდა შეიცვალოს მასწავლებელიც, სკოლაში უნდა მოდიოდეს, პირველ რიგში, მცოდნე მასწავლებელი, განათლებული, საქმის ერთგული და მოყვარული, ნატვირთი საქმის პასუხისმგებლობა მთლიანად რომ ექნება გასიგრძეგანებული, და თუ პედაგოგიურ სასწავლებელში შემსვლელ ახალგაზრდას თუ სკოლაში გამწესებულ მასწავლებელს ეს არ ექნება შეგნებული, საქმე წინ ვერ წავა.

საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ისევე, როგორც ჩვენი ცხოვრება-საქმიანობის ყველა სფეროში, განათლების სისტემაშიც კვლავაც ძალზე დიდია ინერციის ძალა და, რაღა დაგიმალოთ, მისი დაძლევა ჭირს. ჩვენ ყველანაირად მხარს ვუჭერთ ადგილიდან წამოსულ ყველა საღ და გონიერ ინიციატივას, მაგრამ ჯერჯერობით ეს ინიციატივა ძალზე სუსტია, ინერციის ძალა ძლევს... ძველი თუ არ დაინგრა, ახალი ვერ აშენდება. ნგრევის პროცესს ვერ ავცდებით, სხვანაირად ახალი ვერ დაინერგება. უბრალოდ, ყველას გვმართებს მარტივი ჭეშმარიტების გაცნობიერება: ნგრევა და შენება ერთიმეორეს კი არ უნდა მოსდევდეს — ეს შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს — არამედ ერთდროულად უნდა ხდებოდეს და ისეთი მასშტაბებით, რომ ნგრევამ არ იძალოს.

**— სასკოლო ცხოვრების ერთ-ერთ უდიდეს სიახლედ, უთუოდ, მისი სრული დეპოლიტიზაციაც უნდა ჩაითვალოს...**

— უეჭველად. უნდა გითხრათ, რომ ეს პროცესი ჩვენში ძალზე სწორად, ბრძნულად განვითარდა, საერთოდ, არც ერთ უწყებაში პარტიული ცხოვრება არ უნდა არსებობდეს — ასეთია დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი. მით უფრო არ უნდა იყოს იგი სასწავლო დაწესებულებაში და, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, საშუალო სკოლაში. სკოლა არაწც და არამც არ უნდა იყოს რაიმე პოლიტიკური დაპირისპირებულობის ასპარეზი — ასეთია ჩვენი ეროვნული მოძრაობის საერთო აზრი. სკოლას უნდა ჰქონდეს იდეოლოგია — ეროვნული იდეოლოგია — მაგრამ არა პოლიტიზაცია.

**— საქართველოს ახლავე მიეცა უცხოეთის ქვეყნებთან უშუალო ეკონომიკური, კულტურული კონტაქტების დამყარების ერთგვარი საშუალება. მერე და მერე, დამოუკიდებლობის მოპოვების კვალობაზე, ეს საშუალება, ბუნებრივია, განუზომლად გაიზრდება და მაშინ უცხო ენების ცოდნა, უბრალოდ, აუცილებელი გახდება. თუ გადაიდგმება რაიმე ნაბიჯები სკოლაში უცხო ენების სწავლების გასაუმჯობესებლად?**

— ალბათ დამეთანხმებით, რომ ინგლისურის სწავლების საქმე ჩვენში ურიგოდ არ არის, სპეციალიზებული გერმანული სკოლების შექმნაც უთუოდ ხელს შეუწყობს ამ ენის სწავლების გაუმჯობესებას. გადაწყვეტილი გვაქვს შევქმნათ ასეთივე სკოლები ფრანგულენოვანი სწავლებით... საქმეში ჩვენს უნივერსიტეტსაც ჩავრთავთ და უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტსაც...

გასაკეთებელი სკოლებში ძალზე ბევრია, ხოლო საერთო მონდომების, გარჯისა და ძალისხმევის გარეშე ბევრი კი არა, ცოტაც ვერ გაკეთდება. მთავარია, ყველამ — დიდმაც და პატარამაც — შეიცნოს, რომ აღზრდა-განათლება საყოველთაო საქმე, საყოველთაო საზრუნავია.

ესაუბრა მ. ბელაშვილი

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
№ 8 აგვისტო 1990



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასროლა ნაკრძალში

დიმიტრი ლოგუანიძე
მხატვარი თემურ ფხიკიძე

მოთხრობა

კვირიკე ერთხანს ჩაფიქრდა. მერე კვლავ ჰკითხა ნაკრძალის მცველს:

— ცოტხე ბიძია, იმ გამოქვაბულებში ჯიხვებისათვის საკვებად ხმელი ბალახი კაცმაც რომ შეიტანოს, არ შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება! შეიძლება კი არა, სწორედ ასე უნდა ხდებოდეს, — დაუდასტურა ნაკრძალის მცველმა და განაგრძო: — თუ გვინდა, რომ ჩვენს მთა-ბარში ნადირი არ ამოწყდეს და ფრინველი არ გადაშენდეს, თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებულები სახუნდრებში კი არ უნდა ჩავუსაფრდეთ, რომ მოსაკლავად ტყვია ვახალოთ, მათზე ისევე უნდა ვზრუნავდეთ, როგორც ჩვენს ახლობლებზე. მაგრამ ჩვენი სურვილები, ჩემო კვირიკე, ყოველთვის როდი ემთხვევა ჩვენს შესაძლებლობას. დღევანდელი ჩვენი მოუწყობელი ყოფით ქანცგაწყვეტილი კაცი ყველაფერს ველარ წვდება და უფრო ხშირად იმას კი არ აკეთებს, რაც სურს და ეხალისება, არამედ იმას, რაც მისი არსებობისთვის აუცილებელია. აქ, ჩვენს მთებში, ზაფხული და შემოდგომა ისე მოკლეა, რომ ციხვარგელი გლეხკაცები ზამთარში შინაური ცხოველების გამოსაკვებე ბალახის მოთიბვას ვერ ასწრებენ და მთაში ჯიხვებისთვის ვის სცალია! ზოგჯერ მე კი ვთიბავ და შემაქვს კიდეც იმ გამოქვაბულებში ბალახი, მაგრამ მარტო ჩემი გათიბული ბალახი რამდენ ჯიხვს ან შველს უნდა ეყოს? საძალლია მინდორზე ორი დღე ვთიბე და ერთი ზვინი დავდგი. საღამოს შინ გვიან მომიწია წამოსვლა. გრდემლ-ხელკვერი, ცელი, ცული და ფიწალი — ყველაფერი იქვე დავტოვე. თითქმის კვირა იქნება, რაც იქ არ ვყოფილვარ. რახან აქვე ვარ, ბარემ ჩავალ, იქაურობასაც დავხედავ, რომ ვინმე გზააბნეულს არ ეგონოს, ტყე და მისი ბინადარი უპატრონოდ არის დატოვებულიო, და რაც იქ დავტოვე, იმასაც თან წამოვიღებ. შენ თავქვეზე ასე პირდაპირ წადი. ეს ბილიკი პანტიან ხევში გაგიყვანს. მერე იქიდან სანამ სოფელში მიხვალ, მეც წამოგეწევი.

კვირიკემ წასვლა დააპირა, მაგრამ ნაკრძალის მცველმა შეაჩერა:

— თან ეს თოფი და აბგაც წაიღე, თორემ მე რომ ესენი თან ვატარო, უკან დაბრუნებისას ისედაც მძიმე ბარგი კიდევ უფრო დამიმძიმდება. — მერე, თოფი და აბგა რომ მიაწოდა, ესეც დაუმატა: — კვირიკე, გახსოვდეს, ვაზნები მგლის ჟაკნებით არის დატენილი. ემანდ სურვილმა არ გძლიოს და ტყუილ-უბრალოდ არაფერს ესროლო!

— არა, ცოტნე ბიძია, რას უნდა ვესროლო! — იუარა კვირიკემ, ნაკრძალის მცველის თოფი და აბგა მხარზე მოიგდო და ტყე-ტყე მიმავალი ბილიკით თავქვე დაეშვა.

თვითონ რომ არ მოელოდა, ბილიკი ისე სწრაფად ჩაათავა და როცა პანტიან ხევში ჩავიდა, გაუკვირდა, ეს ამხელა გზა რა მალე გამომივლიაო.

გზის პირას, ტყეში, შავად მიბინდულ მაყვლის ბუჩქებს წააწყდა. ცოტა მოშიებულიც იყო და ტყის მწიფე ხილს კრეფა დაუწყო.

მოულოდნელად მახლობელი ხევიდან რომელიღაც ნადირის გაავებული ხმა შემოესმა. თავიდან ვერ მიხვდა, რისი ხმა იყო და გულში უნებურმა შიშმა გაჰკრა.

მაყვლის ჭამას თავი ანება და ხელი მხარზე გადაკიდებულ თოფს წაატანა. ყოველი შემთხვევისათვის წინასწარ თადარიგი დაიჭირა, ნადირი თუ შემოუტევდა, თავი დაეცვა.

წინ საკმაოდ ხშირი ბუჩქნარი ეფარებოდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ღორი იყო, თან ისე საცოდავად ხრიალებდა, თითქოს დასაკლავად ყელში დანას ურჭობენო.

კვირიკემ ცოტნესაგან იცოდა, რომ ციხვარგულას ნაკრძალში გარეული ღორებიც ბინადრობდნენ. ისინი აქ რამდენიმე წლის წინათ შემოეყვანათ და თავს მშვენივრად გრძნობდნენ. ახლა ბიჭი ვერაფერს მიმხვდარიყო, ამ ღორს ასე რა აყვირებდა.

ტყუილად რომ არ ემარჩიელა, თავი დახარა და თხილის ბუჩქებში უხმაუროდ გაძვრა. თავი გაჰყო თუ არა, ვეება პანტის ხეების ტყეში ალმოჩნდა. ერთ-ერთ ხეზე საიმედოდ შემოხვეულ მავთულის ყულფში კისრით გაბმული უზარმაზარი ტახი აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ თავის დახსნას ვერ ახერხებდა. ტუჩებზე მომდგარი მღვრიე ქაფი და ხის ქვეშ ერთიანად გადათხრილი მიწა მოწმობდა, რომ ცხოველი კარგა ხნის გაბმული იყო მახეში.

კვირიკე ათიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა და სახუნდარში ჩასაფრებულ მონადირესავით ბალახებში უხმოდ ჩაწვა.

ცხოველმა მასთან ასე ახლოს მისული ადამიანი რომ დაინახა, კიდევ უფრო გახელდა და გადაირია. რამდენჯერმე მძლავრად ამოიქშინა და დამფრთხალმა გასაქცევად გაიწია, მაგრამ კისერზე საბედისწეროდ მოდებულმა მავთულის ყულფმა ისე მაგრად მოქაჩა, ტკივილისაგან გამწარებული საზარელი ხმით აჭყივლდა და მიწას დაასკდა. მერე თითქოს თავისი სისუსტისა შერცხვაო, დაფეთებული წამოხტა და აქეთ-იქით უაზროდ მიაწყდა — ალბათ ეგონა, რაც უფრო მეტს იწრიალებდა, მით უფრო მალე და ადვილად დააღწევდა თავს ამ უბედურებას.

ტახის ამგვარმა წვალებამ კვირიკეს გული ატკინა. იგი ჩუმად იწვა და ხმას არ იღებდა, რომ უფრო მეტი უბედურების შიშით ცხოველი კიდევ უფრო არ დაეფრთხო და არ გადაერია. ბოლოს ტახი თითქოს შეეგუა ადამიანის სიახლოვეს. იქნებ სულაც მიხვდა, რომ ბიჭი ავს არაფერს უპირებდა, და ცოტათი დაწყნარდა. თუმცა ჯაგარაშლილი ტანი მაინც უთრთოდა და უკანკალებდა.

„თუ ვინმე არ დაეხმარა მაგ საცოდავს, თვითონ ამ მავთულს, მთელი სიცოცხლე რომ ეცადოს, ვერ გაწყვეტს. ცოტნე ბიძია რომ აქ იყოს, იქნებ მას მოეფიქრებინა რაიმე გონივრული. აქ რომ იყოს-მეთქი... არ არის და... მაგრამ მე ხომ აქ ვარ, წავალ და მოვიყვან“, — დაასრულა საკუთარ თავთან კამათი ბიჭმა, ფეხზე წამოდგომა და ნაკრძალის მცველის მოსაყვანად წასვლა დააპირა, რომ მოულოდნელად იმ მხრიდან, საიდანაც ნაკრძალის მცველი უნდა მოსულიყო, ფეხის ხმა შემოესმა.

---

დასასრული. იხ. „ნაკადული“ № 7.

„აი, ისიც.“ — სიხარულით გაიფიქრა ბიჭმა და ის იყო, უნდა ეყვირა, ცოტნე ბიძია, მეც აქ ვარ, აქეთ წამოდიო, რომ უცხო ხმა მოესმა:

— გაბმულხარ, ჩიტო, მახეში, გაჩერდი, ნუღარ ფრთხიალებ, — კმაყოფილებით ჩაიღიღინა იმ ხმამ. კვირიკე მიხვდა, ნაკრძალის მცველის ნაცვლად აქეთ ვიღაც სხვა მოდიოდა და იგი სწორედ ხაფანგში გაბმული ღორის დანახვამ გაახარა.

— იქ მოეკლათ თეთრი ტახი, ხორცი მოემრავლებინათ, — ღიღინითვე აუბა მხარი მეორე ხმამ.

— სწორედაც ხორცს მოვამრავლებთ და მერე როგორს, არ იკითხავ? — სიტყვა ჩამოართვა პირველმა.

ბალახებში ჩაწოლილ კვირიკეს და იმ ახლად მოსულებს შორის ბუჩქნარი იყო და ბიჭი მათ სახეს ვერ ხედავდა, ხმა კი გარკვევით ესმოდა.

— ხომ გითხარი, ამ პანტის საჭმელად ღორები დადიან და ჩვენს დაგებულ მახეში ღორი თუ არა, ბურვაკი მაინც გაებმება-მეთქი? ბურვაკი კი არა და, კაი ორასკილოგრამიანი ტახია!

„აჰა, მოუვიდნენ ტახს მისი ხაფანგში გამბმელი „გამათავისუფლებლები“, — გაიფიქრა კვირიკემ და გამოჩენას ჯერჯერობით ასე მალულად ყოფნა არჩია.

— ამასწინათ „მწარე გოგია“ შემხვდა. მასთან „ცოცხალის“ ამბავში რომ ჩავფლავდით, მას შემდეგ არ მინახავს, — თქვა ერთმა.

— მერე, რაო გოგიამ?

— არ მეგონა, თუ ასე უპირო, სიტყვის გამტეხები და ბედოვლათები იყავით შენ და ის შენი ძმაკაციო, თუ გინდა, „ცოცხალთან“ დაკავშირებული წყენა დავივიწყო, შენ და იმ შენმა ძმაკაცმა ჯიხვი ან ღორი მოინადირეთ და შინ მომიტანეთ, ჩემს უფროსს შევპირდი, ნადირის მწვადზე უნდა ვაქეიფოო, თუ ნანადირევს მომიტანთ, სულ ერთია, ჯიხვი იქნება თუ ღორი, „ცოცხალში“ რა ფულიც მოგეცით, ალალი იყოს თქვენზე, ის კი არა და, ორას მანეთს კიდევ სხვას ვამატებო. შევპირდი, ყუყულუპა მოგიკვდეს, თუ ერთ-ორ კვირაში ეგ სურვილი არ შეგისრულო-მეთქი.

კვირიკე მიხვდა, პანტიანში ღორისათვის ხაფანგის დამგებები ვინც იყვნენ. ამ მოკლე დროში შემთხვევამ ორჯერ შეახვედრა ისინი და კარგად დარწმუნდა მათ ავკაცობაში.

ამ დროს ყუყულუპას შეძახილი მოესმა:

— რას სჩადი, კაცო, არ ესროლო!

— რატომ, ყუყულუპა, აბა ეგ ტახი ყელს თავისით გამოიჭრის, ჩვენ რომ გვასიამოვნოს, თუ რა?!

— გაგიჟდი?! ასე დღისით-მზისით ნაკრძალში თოფის სროლა ვის გაუგონია! ახლა რომ აქ თოფი გავარდეს, მარტო ნაკრძალის მცველი კი არა, მთელი სოფელი ფეხზე დადგება და პატიმრობას რომ გადავურჩეთ, იმხელა ჯარიმას ავიკიდებთ, იმის გადახდას რამდენიმე წლის ციხის ბალანდის ჭამა მირჩევნია. ნეტა რა გვეჩქარება! ტახი ხეზე საიმედოდ გვყავს მიბმული და სად გაგვექცევა! დაველოდოთ დაღამებას, როცა დავრწმუნდებით, რომ საფრთხე არსადიან მოგველის, თოფიც აქ არის და მთელ ამ ხეობაში განთქმული მჭედლის, ნაწუაანთ ივანეს გაჭედილი ფხიანი დანაც. ხვალ „მწარე გოგიას“ ამ ღორს ჩავაბარებთ, ჩვენ კი ორას მანეთს ჩავიჯიბავთ.

ეტყობოდა, იმ მეორეს ყუყულუპას რჩევა ჭკუაში დაუჯდა და მათი საუბარიც ამით შეწყდა. კვირიკეს მდგომარეობიდან გამოსვლის იმედი და ღორის გადასარჩენად რაიმე გონივრულის მოფიქრების დრო მიეცა.

„ფრთხილად, კვირიკე, იცოდე, ორნი არიან. ტახი უკვე თავისი ჰგონიათ და გეგმის ჩაშლას ასე ადვილად არ გაპატიებენ!“ — უცხოსავით გააფრთხილა საკუთარი თავი, მაგრამ განზრახვაზე ხელი მაინც არ აუღია. „ორნი კი არა, სამნიც რომ იყვნენ, მე მაგათი არ მეშინია, ან კი რატომ უნდა მეშინოდეს, საქმე შიშზე თუ მიდგა, მე კი არა, კაცისაც და კანონისაც მაგათ უნდა ეშინოდეთ“. პირქვე მწოლიარე კვირიკე უხმოდ და შეუმჩნევლად გაცურდა ბალახში. ტახთან კიდევ უფრო ახლოს მივიდა, რომ მისი ნასროლი უმცდარი და ზუსტი ყოფილიყო. თან ჩქარობდა, მზეს ჩასვლა არ მოესწრო და ტყეში სიბნელეს არ დაესადგურებინა, რადგან ეს ხელს შეუშლიდა განზრახვის შესრულებაში. იგი კულხას სკოლა-ინტერნატში ყოფნისას თოფის სროლაში მოსწავლეთა შორის ქალაქის ჩემპიონი იყო, მაგრამ ახლა განსაკუთრებული სიზუსტე სჭირდებოდა. განზრახვის ასრულებაში ხელს ისიც უშლიდა, ტახი ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა და მოუსვენრად წრიალებდა. სასურველი წამი რომ ვერ შეარჩია, რამდენჯერმე სასროლად შემართული თოფი ძირს დაუშვა.

ბოლოს, ამდენი გაწამაწიით ქანცგაწყვეტილმა ტახმა ერთი წუთით შეწყვიტა წრიალი. კვირიკემ გულდასმით დაუმიზნა და სასხლეტს საჩვენებელი თითი გამოკრა.

თოფმა იგრიალა. მისმა ქუხილმა ჯერ ტყეს გადაუარა, შემდეგ ცად აზიდულ მწვერვალებს მიაწყდა და ხევებში ჩაიკარგა.

თოფის ხმით დაფეთებული ტახი ყალყზე შედგა. კვირიკეს ნასროლი ტყვიით გაწყვეტილი მავთულისაგან თავდახსნილმა ისკუპა და დაბურულ ტყეში გაუჩინარდა.

„ახლა წადით და იმის გეგმები დააწყვეთ, ვის მიართვათ მოკლული ტახი და ისიც, რა ფულს აიღებთ მასში!“ — ყუყულუპასა და მისი ამხანაგის მისამართით ნიშნისმოგებით ჩაილაპარაკა კვირიკემ და, საკუთარი ნასროლის სიზუსტით კმაყოფილმა, თოფის ლულას სიყვარულით გადაუსვა ხელი.

მათთვის სასურველი დროის მოლოდინში ბუჩქებში უხმოდ გატრუნული ყუყულუპა და მისი ამხანაგი თოფის ხმაზე შეკრთნენ და გაოცებულებმა ერთმანეთს გადახედეს, თოფი სხვამ ისროლა თუ რომელიმე ჩვენგანს უნებურად გაუვარდაო. მაგრამ როცა მიხვდნენ, ტყვია მათი კი არა, ვიღაც უცხოს ნასროლი იყო, შემდეგ გაქცეულ საღსალამათ ტახს რომ თვალი შეასწრეს, უზომოდ გამწარებულებმა თოფებს ხელი წამოავლეს და იქით დააპირეს გაქცევა, საითაც ის უცნობი მსროლელი ეგულებოდათ.

ამ დროს ტყეში, მათგან სულ ახლოს, იმ თოფის ხმაზე არანაკლებ მრისხანე ხმა გაისმა:

— ვინ ბედავს, რომ ნაკრძალში თოფს ისვრის და ნადირს ხოცავს?!

— უჰ, ეს წყეული ნაკრძალის მცველი, სადაც არ მოელი, თავზე სწორედ იქ არ წამოგადგება! — ბოღმითა და კბილების ღრჭენით გამოსცრა ყუყულუპამ და მცველს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, კისრისტეხით გაქცეულმა ტყეს მისცა თავი. მას ამხანაგიც მიჰყვა სირბილით.

ტყეში ტოტების ლაწანით გაქცეულებს ნაკრძალის მცველი ფეხდაფეხ დაედევნა, რომ შეეპყრო და პასუხი მოეთხოვა, მაგრამ ამ დროს ზურგიდან კვირიკეს ხმა მოესმა:

— დაბრუნდი, ცოტნე ბიძია, აქეთ წამოდი, აქეთ! — მოეჩვენა, რომ ბიჭს ნამტირალევი ხმა ჰქონდა. იფიქრა, თოფი ხომ არ გაუვარდა და არ დაიჭრა ან სხვა რაიმე ავი ხომ არ სჭირსო. ამ ფიქრით დამფრთხალმა გაქცეულებს თავი მიანება და კვირიკესთან კისრისტეხვით მოვარდა.

— კვირიკე, დაჭრილი ხომ არა ხარ, ბიჭო?!

— არა, ცოტნე ბიძია, ჯანმრთელი ვარ და უვნებელი... — დაამშვიდა კვირიკემ და გაუღიმა.

— აბა, რა იყო, ვინ ისროლა?

— მე.

— შენ? რას ესროლე? აკი, გაგაფრთხილე, ვაზნები მგლის ყაკნით არის დატენილი და არ ისროლო-მეთქი, — წარბი წყენით შეიკრა ტყის მცველმა.

— აბა რა მექნა, ცოტნე ბიძია? ტახი მავთულის ხაფანგში იყო გაბმული და რომ ამეშვა, სხვა გზა არ მქონდა და მავთულს ვესროლე, — აუხსნა კვირიკემ, მერე წინ წაუძღვა და ხეზე შერჩენილი მავთულის ნაგლეჯი აჩვენა.

ნაკრძალის მცველმა ნახაფანგარი მავთული დაათვალიერა, ბიჭს კმაყოფილებით შეხედა და მოწონებით უთხრა:

— რაც გინდა, თქვი და, მარჯვე ნასროლია!

კვირიკეს ესიამოვნა შექება.

— ისინი ვინ იყვნენ, ტყეში რომ გაიქცნენ? — ახლა ამით დაინტერესდა ნაკრძალის მცველი.



კვირიკე წამით შეყოყმანდა, ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა, ვინც იყვნენ. ცნობით არც ერთს არ იცნობდა, მაგრამ ზედმეტ სახელს, „ყუყლუპას“ რომ ახსენებდა, ნაკრძალის მცველს გამოცნობა არ გაუჭირდებოდა. ბოლოს მაინც უთქმელობა არჩია. არ ღირს ახლა საქმის გართულება, სხვა დროს, როცა აშკარა დანაშაულზე წავასწრებ, ეგენი კი ისეთ გზაზე დგანან, ეს ადრე თუ გვიან მაინც მოხდება, და ყველაფერს მაშინ ვეტყვიო, — დაასკვნა გუნებაში. ნაკრძალის მცველს კი, ტყუილი რომ არ გამოსვლოდა, ეს უთხრა:

— თვალით არ მინახავს. მე ამ ბუჩქებთან ვიყავი ბალახებში ჩაწოლილი და იმაზე ვფიქრობდი, ტახი როგორ მეხსნა ხაფანგისაგან. ისინი, ეტყობა, სადღაც მოშორებით იყვნენ ჩასაფრებულები. თოფის გასროლაზე და შენი ხმის გაგონებაზე ალბათ დაფრთხნენ და გაიქცნენ.

ნაკრძალის მცველმა თითქოს იაზრა, ბიჭი სათქმელს ბოლომდე არ ამხელსო, ხელი ჩაიქნია და შემდეგ მუქარით მოსჭრა:

— წავიდეთ. ვინც იყვნენ, იყვნენ. ერთხელაც იქნება, მე თვითონ სადმე გადავეყრები მაგ უნამუსოებს და მაშინ ვანანებ ტურებივით ნაკრძალში ძრომიალსა და ავკაცობას, — და, მოქუფრული და პირგამეხებული, სოფლისაკენ მიმავალ გზაზე ბიჭს წინ გაუძღვა.

მეორე დღეს კვირიკემ ბესო შინ ინახულა და როცა მეგობარმა უსაყვედურა, სად დაიკარგე, [illegible] თითქმის კვირა იქნება, არ მინახავხარო, კვირიკემ [illegible]რთლა, მე და ცოტნე ბიძია ბალახს ვთიბავდით და ვერ მოვიცალეო. მერე საუბარს ტახის გადარჩენის ამბავიც მოაყოლა.

— მართლა?! — გაუკვირდა ბესოს. — კეთილი საქმე გიქნია! — გულწრფელად შეაქო მეგობარი და იქვე დაუმატა: — ეს სროლაც რომ მარჯვე გცოდნია! თუ მავთულს ტყვია შემთხვევით მოარტყი?

— არ ვიცი, ბესო, იქნებ მართლაც შემთხვევით მოვარტყი. თუმცა კულხას სკოლა-ინტერნატში ყოფნისას ქალაქის ჩემპიონი ვიყავი ტყვიით სროლაში.

ამის გაგონებაზე ბესომ თვალები დააჭყიტა.

— ვა, მე ეგ აქამდე არ ვიცოდი! ან კი საიდან უნდა მცოდნოდა, როცა ამის შესახებ შენ სოფელში არავისთვის გითქვამს! ცოტა ხნის შემდეგ რომ მითხრა, კოსმოსურ ხომალდში ვიჯექი და მთვარეზე არმსტრონგთან ერთად ვიყავიო, არ გამიკვირდება.

კვირიკეს გაეღიმა.

— არა, ბესო, მაგას არ ვიტყვი, რადგან არც კოსმოსურ ხომალდში ვმჯდარვარ და არც არმსტრონგთან ერთად ვყოფილვარ მთვარეზე, რადგან მაგ დროს დაბადებულიც არ ვიყავი. მავთული კი ტყვიის სროლით ნამდვილად გავწყვიტე და ის ტახიც მწვადებად აქნას გადავარჩინე.

— ჩემპიონი თუ იყავი, მაშინ ნამდვილად არ გაგიჭირდებოდა მავთულისთვის ტყვიის მორტყმა!

— არ გამჭირვებია. თუმცა ისიც გულახდილად უნდა გითხრა, ძალიან ვეცადე, რომ ტყვია მავთულისთვის არ ამეცდინა. და აკი არც ავაცდინე. ისე კი, ბესო, მე ასე მგონია, კაცი თუ ძალიან ეცდება, რასაც მოისურვებს, ყველაფერს მიაღწევს.

— შეიძლება... — ფიქრიანად დაეთანხმა ბესო და შემდეგ ეს ჰკითხა: — ისინი ვინ იყვნენ, ვინც ტახს ხაფანგი დაუგო და მის მოკვლასაც არ დაერიდებოდნენ, შენ და ნაკრძალის მცველს ხელი რომ არ შეგეშალათ?

— არ ვიცი, ისე გაიქცნენ, თვალის მოკვრა ვერ მოვასწარი. მაგრამ მთავარი ეგ როდია, — მოულოდნელად თქვა კვირიკემ.

— აბა რა არის მთავარი?! — გაკვირვებით ჰკითხა ბესომ მეგობარს და სახეში რაღაცნაირი დაეჭვებით თუ დაკვირვებით შეხედა, ამაზე მთავარი სხვა კიდევ რა უნდა იყოსო.

— რა, ბესო და, მე აქამდე არ ვიცოდი: სწორედ გუშინ, სათიბიდან რომ ვბრუნდებოდით, ცოტნე ბიძიამ მიამბო, ზამთარში ჯიხვები გარეული ინდაურების მიერ გამოქვაბულში შეზიდული ბალახით იკვებებიანო, — კვირიკემ ბესოსათვის მოულოდნელად საუბარი სულ სხვა რამეზე გადაიტანა. მერე ნათქვამს ესეც მიაყოლა: — ამასწინათ გაზეთში წავიკითხე, რომ თიანეთელ მოსწავლეებს შარშან ზამთარში თივა სახლიდან მიჰქონდათ და ტყეში სხვადასხვა ადგილას ყრიდნენ. მერე იქ შველები და არჩვები მიდიოდნენ და ჭამდნენ. ასე ჩვენმა ტოლმა თიანეთელმა ბიჭებმა არაერთი ჯიხვი და შველი გადაარჩინეს თურმე ზამთარში შიმშილით სიკვდილს. მოდით, ჩვენ — მე, შენ, ბეჟიამ, შამშემ და სხვებმა ახლა მოვთიბოთ ბალახი და გამოქვაბულებში შევზიდოთ. მით უფრო, რომ შორს წასვლა სულაც არ დაგვჭირდება. ის გამოქვაბულებიანი საჯიხვე კლდეები სათიბებს ზედ ეკვრის.

ბესო გულისყურით უსმენდა მეგობარს. კვირიკე კი დაწყებულ საუბარს განაგრძობდა:

— სხვაც რომ არავინ შემოგვიერთდეს და მარტო მე და შენ თუნდაც ორ-სამ დღეს ვიმუშაოთ, იცი, რამდენ ბალახს მოვთიბავთ?

ბესო ერთ ხანს ჩაფიქრებული უგდებდა ყურს კვირიკეს და ხმას არ იღებდა.

— რა იყო, ბესო, განა მართალს არ ვამბობ? — ჰკითხა ბოლოს კვირიკემ მეგობარს და სახეზე დააცქერდა.

— მართალს ამბობ კი არა, სწორედ რომ ჩინებული აზრია! საქმესაც კეთილს გავაკეთებთ და კიდევაც გავერთობით. სოფელში უსაქმურად ხეტიალს მაგ საქმის კეთება ათასჯერ ჯობია. — დაეთანხმა ბესო და უმალ დაუმატა: — მაგრამ ესეც იცოდე, კვირიკე, ამ საქმეს მარტო მე და შენ ვერ ვეყოფით. მოიცა, ერთი გადავხედო... შამშე აქ არ არის, გაგრაში ისვენებს, გივი და ჯუმბერი პიატიგორსკში წავიდნენ ერთკვირიან ექსკურსიაზე; ბეჟიას ბიძა, ხომ იცი, გემის კაპიტანია და ძმისშვილი ზღვაზე სამოგზაუროდ წაიყვანა. ოთარი და ზურა თელავში არიან, ერთ კვირაზე ადრე არ ჩამოვლენ. სამაგიეროდ, გურამი აქ არის. ჰოდა, გურამი შევიამხანაგოთ და რაღა შორს გადავდოთ, ხვალვე შევუდგეთ საქმეს. — თქვა ბესომ.

●

კვირიკემ, ბესომ და გურამმა სამი დღე, დილიდან საღამომდე, გულმოდგინედ თიბეს ბალახი საჯიხვე ქიუხების ძირას მწვანედ აბიბინებულ ფერდობებზე.

მართალია, მუშაობით კარგა დაიღალნენ, განსაკუთრებით პირველ დღეს, მაგრამ დაღლას არაფრად აგდებდნენ დ არც შრომის წადილი განელებიათ. კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ ზამთარში შიშველი კლდეებისა და ბუნების წყალობის ამარა დარჩენილ ცხოველებს, რითაც შეეძლოთ, იმით ეხმარებოდნენ. დარწმუნებული იყვნენ, წელს როგორი მკაცრი ზამთარიც უნდა დამდგარიყო, მათ მშობლიურ მთებში მობინადრე ჯიხვები, თუ ყველა არა, ნაწილი მაინც, არ ამოწყდებოდა შიმშილით და გაზაფხულამდე იოლად გააღწევდა.

როცა ბალახი მთლიანად ახვეტეს და ააბულულავეს, კმაყოფილებით გადახედეს საკუთარ ნამუშევარს. თივა არც ისე ცოტა იყო, როგორც თავიდან ეგონათ.

— მოდით, თივა გამოქვაბულში შევზიდოთ და დავაბინაოთ, თორემ ცაზე ღრუბლებია, შეიძლება კოკისპირულად გაწვიმდეს და დაგვისველდება. მერე, თუ გამოქვაბულში სინესტე შეჰყვა, ეს აბრეშუმივით [illegible] ბალახი შეხურდება და აშმორდება. სუნდაკრულ თივას კი ჯიხვი პირს არ დააკარებს და ეს ამდენი ნაშრომი წყალში ჩაგვეყრება. — თქვა ბესომ.

სამხრობა კარგა ხნის გადასული იყო, როცა მეგობრები შეზიდვას მორჩნენ — ხმელი ბალახი ხუთ დიდ თუ მცირე გამოქვაბულში გაანაწილეს, მერე დასასვენებლად მოლზე წამოწვნენ, ერთმანეთს მაშვრალი კაცის კმაყოფილებით გადახედეს.

— ამ ამბავს რომ გაიგებს, როგორ გაუკვირდება ცოტნე ბიძიას! — თქვა გურამმა.

— და რას გაიხარებს! — დაუმოწმა კვირიკემ.

— ცოტა კი დავიღალეთ, მაგრამ რაც მართალია, მართალია, კარგი საქმე გავაკეთეთ. — დაუმატა თავის მხრივ ბესომ.

მცირე ხნის დსვენების შემდეგ ბიჭები სოფლის გზას დაადგნენ. ის იყო, ორღობეებში გავიდნენ, რომ წინ ოთია თავმჯდომარე შემოეყარათ.

— კარგია, რომ გნახეთ. სწორედ თქვენ გეძებდით. — შეაგება თავმჯდომარემ.

— რა იყო, ოთია ბიძია? — ჰკითხა კვირიკემ.

— რა იყო და, ნაკრძალის მცველი დილით ციხვარგულას ხეობაში წავიდა და ჯერაც არ დაბრუნებულა. რაიონიდან დარეკეს, დღეს უსათუოდ უნდა ჩამოვიდესო.

თქვენზე ფეხმალ შიკრიკს სად ვიშოვი. ახლავე გაიქეცით, იპოვეთ და გადაეცით, რომ დაუყოვნებლივ წამოვიდეს, იქნებ ბოლო ავტობუსს მაინც მოუსწროს.



ბიჭებმა რაღაცის თქმა დააპირეს, მაგრამ თავმჯდომარემ არ დააცალა.

— თუ სხვაგან ვერ ნახოთ, საკაურას ჭალაზე რომ ქოხი აქვს, იქ მიაკითხეთ. მიდით და ახლავე აქ მომგვარეთ. აბა, ჩქარა! წასული არ მეგონოთ, რომ თქვენც და ისიც აქ გაჩნდით.

ეს საქმე კვირიკემ და ბესომ იკისრეს და თავმჯდომარის დავალების შესასრულებლად გასწიეს.



მზის ჩასვლის ჟამს შინისაკენ მიმავალ ნაკრძალის მცველს მოულოდნელად თოფის სროლის ხმა შემოესმა საკაურას ჰალის მხრიდან. ყურებს არ დაუჯერა. დილას აქეთია, ტყეში იყო და ამ ხეობაში, არამცთუ ნაკრძალში, თვით მის შემოგარენშიც კი არავინ დაულანდავს, ერთი წუთით შედგა და მერე ისევ სოფლისაკენ განაგრძო გზა. მაგრამ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ თოფი ორჯერ ზედიზედ გავარდა.

ნაკრძალის მცველი, თითქოს ის ტყვია, ტყეში რომ ისროლეს, მისთვის დაეხალებინოთ, შეირყა და შეტორტმანდა.

როცა პირველმა ელდამ გაუარა, ადგილს მოსწყდა და იქით გაეშურა, საიდანაც სროლის ხმა მოესმა.

არ გაუგია, როგორ გაირბინა ის მანძილი. პირველი, რაც დაინახა, უსულოდ დაგდებული უზარმაზარი ხარჯიხვი იყო, რომელსაც მკერდში მოხვედრილი ნატყვიარიდან სისხლი ჯერ ისევ მოსწვეთავდა. ჯიხვს თავზე თოფს დაყრდნობილი მონადირე ადგა, ცალი ფეხი მოკლული ჯიხვისთვის დაებიჯებინა და, საკუთარი ნამოქმედარით უზომოდ კმაყოფილი, იღიმებოდა.

რამდენიმე წუთში ორი სხვა მონადირეც გამოჩნდა. ისინი ტყიდან ერთად გამოდიოდნენ. ერთ მათგანს ყელგამოღადრული წალასთვის რქებში ხელი ჩაევლო და მიათრევდა.

ეტყობა, სამივენი იმდენად გახარებული იყვნენ წარმატებული ნადირობით, რომ ერთბაშად ვერც ერთმა ვერ შეამჩნია შორიახლო ასვეტილი, პირგამეხებული ნაკრძალის მცველი.

— ყუყლუპა, მართალია, შენი ნასროლი ჩემსაზე უფრო მარჯვე და იღბლიანი გამოდგა, მაგრამ მაგ ხარჯიხვზე ნაკლები სამწვადე ხორცი არც ამ წალას ექნება, — უთხრა ხარჯიხვთან მდგომ მონადირეს ახლად მოსულთაგან ერთ-ერთმა და უსიცოცხლო წალა ფეხებთან დაუგდო.

ამის დანახვაზე ნაკრძალის მცველმა წონასწორობა დაკარგა, ახლომდგომ მონადირეს ეცა, თოფი გამოგლიჯა და მდინარისკენ აზრმიუცემლად ისროლა. მერე მომხდურ-დამხვდური შეძიძგილავდნენ და რამდენიმე წამში ორივენი მიწაზე გაგორდნენ. ნაკრძალის მცველმა ქვეშ ამოიდო მონადირე, მაგრამ სწორედ ამ დროს თავში რაღაც მძიმედ მოხვდა და გონება დაჰკარგა.

როცა გამოფხიზლდა, მიწაზე ხელებგაკრული ეგდო, თავზე ის სამი მონადირე დასდგომოდა. ერთი მათგანი მისი სოფლელი მგელიკა თაფლოშვილი იყო, მეტსახელად „ყუყლუპა". იმ ორის გვარი და სახელი არ ახსოვდა, სახით კი ორივეს იცნობდა, ქღელეს ხეობიდან იყვნენ.

— აბა, ახლა როგორ გრძნობ თავს, დამშვიდდი? — დაცინვით ჰკითხა ერთმა მათგანმა.

ცოტნე წამოჯდა, შეკრული ხელების აწევა სცადა, რომ თავზე ის ადგილი მოესინჯა, სადაც ტკივილს გრძნობდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

— რაო, თავი გტკივა? რაღა დროს შენი ჭიდაობაა? მაგრამ ზოგიერთ შენისთანა ჯიუტსა და თავნებას კაცი რამეს გააგებინებს?! მგელიკასთან ჭიდაობისას თავი ქვას მიარტყი და გაიტეხე.

ნაკრძალის მცველმა წყნარად მიხედა ამის მთქმელს. მერე მგელიკას მიუბრუნდა და მკაცრად მოსთხოვა:

— ხელები გამიხსენი!

მგელიკამ ამხანაგებს გადახედა, როგორ მოვიქცეო. ერთმა მათგანმა ანიშნა, გაუხსენიო.

— გაგიხსნი, მაგრამ ახლა მაინც ჭკუით იყავი. ხელი გააჩერე და თუ რაიმეს თქმა გინდა, ენა გაქვს და მითხარი, — დაარიგა მგელიკამ და ნარკძალის მცველს თოკი მოხსნა:

— ყუყლუპა, აბა ერთს გეტყვი: ამ საქმის გამო ვერც შენ და ვერც ეს ძმაკაცები უციხოდ ვერ გადარჩებით!

— ცოტნე, ციხით ნუ მაშინებ, შენ კარგად იცი, რომ მე იქ უცხოდ არა ვარ.

— მით უარესი შენთვის... იცი, რაც არის ციხე და არა მგონია, დიდი სიხარულით მოელოდე იქ წასვლას.

— ეს კი ნამდვილად სწორე თქვი, არავითარი სურვილი არა მაქვს. სწორედ ამიტომ, არც მე და არც ეს ჩემი მეგობრები ციხეში რომ არ წავიდეთ, ვეცდები, საქმე სასამართლომდე არ მივიდეს.

— როგორ? — დაცინვით ჰკითხა ნაკრძალის მცველმა მგელიკას.

— როგორ და, შენ უნდა გაჩუმდე და რასაც აქ ხედავ, ამის შესახებ არსად არაფერი თქვა.

— მე თუ არ გავჩუმდი?

— მაშინ აშკარაა, რომ მე და ამ ჩემს მეგობრებს მოგვიწევს პასუხისგება კანონის წინაშე. ამიტომ, ჩვენ რომ პასუხი არ ვაგოთ, შევეცდებით, შენ გაგაჩუმოთ.

— მაინც, როგორ მოახერხებთ ამას?

— უბრალოდ და იოლად. შენ კარგად იცი, რომ ეს ჩვენი ციხვარგულა მეტად საოცარი მდინარეა. სადაც ჩვენ ვდგავართ, ამ ადგილებში მაინც, მტერი ჩავარდა მის ტალღებში — ვერც გამოვა და ორას მეტრსაც არ გაატარებს, რომ თავს ქვებს მიახლევინებს. ხოლო ასეთი

მიხეთქებისას თავს რაც მოუვა, შენც კარგად იცი. ერთ ამბავს გაგახსენებ: ამ რამდენიმე წლის წინათ შიხორელი ბოხოლა რეხვიაშვილი სწორედ ამ ადგილებში ჩავარდა ციხვარგულაში. აქედან ერთი კილომეტრის მოშორებით იპოვნეს ის საცოდავი და ისე იყო დაჩეჩქვილი, საკუთარმა დედამ ვერ იცნო ალალი შვილი. არა მგონია, რომ შენ ციხვარგულაში ბანაობის სურვილი გქონდეს, მე კი ამით დღევანდელსაც და ამ რამდენიმე ხნის წინ ფაცერის ამოღებით მოყენებულ წყენასაც ერთად აგინაზღაურებ.

— ფაცერებისაო? მე არავითარი ფაცერები წყლიდან არ ამომიღია, მგელიკა! ისინი დღეს შემთხვევით ვიპოვნე იქ, ტყეში გადაყრილი. მთელი დღე თავს ვიმტვრევდი, ნეტა აქ ან რა დროს მოიტანეს, ან ვინ მოიტანა-მეთქი. კარგია, რომ მითხარი. თქვენს დღევანდელ დანაშაულს ეგეც ზედ დაემატება, — უთხრა ნაკრძალის მცველმა და წამოდგომა დააპირა.

— სანამ არ დაგვპირდები, რომ ამ ამბავს არ გაახმაურებ, აქედან ფეხი არ დასძრა, თორემ რაც მოგივა, საკუთარ თავს დააბრალე! — მკაცრად გააფრთხილა ერთ-ერთმა მონადირემ, თოფი შემართა და ლულა ნაკრძალის მცველს მიუშვირა.

ცოტნე მიხვდა, რომ ეს გარეწრები საკუთარი ტყავის გადარჩენისათვის ნამდვილად არაფერს დაერიდებოდნენ. თუ ტყვიას არ დაახლიდნენ, თავში რაიმეს ჩაარტყამდნენ და გონდაკარგულს, როგორც ყუყლუპამ მიანიშნა კიდეც, მდინარეში გაადაგდებდნენ. მაგრამ, სანამ ამას იზამდნენ, რაღაც უნდა ილონოს, ბოლოს და ბოლოს, შეებმება და შეაკვდება.

წამოიწია, წამოდგომა სცადა... და სწორედ ამ დროს ბუჩქებიდან მოულოდნელად გამოვარდნილი კვირიკე და ბესო თოფშემართულ მონადირეს ეცნენ და თოფი ისე სწრაფად აართვეს, იქ მყოფთ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს.

კვირიკე თოფშემართული იდგა ბრაკონიერების პირისპირ, ბესო ცოტნესთან მივიდა, წამოდგომაში მიეხმარა.

— ყუყლუპა, — მიუბრუნდა კვირიკე მონადირეს, — ფაცერები წყლიდან მე ამოვიღე, ცოტნე ბიძია არაფერ შუაშია, თქვენ რომ პანტიანში ღორს ხაფანგი დაუგეთ, იმ ხაფანგის მავთულიც მე გავწყვიტე ტყვიით, ასე რომ, გირჩევთ...

ნირწამხდარი ბრაკონიერები უმწეოდ აცეცებდნენ აქეთ-იქით თვალებს.



ნ ა ზ ი
ჭ ე დ ი ა



## ბელურა და ვარდი

დღეს მე ჩემივ თვალით შევესწარი ნამდვილს —
საოცრებას ნამდვილს:
ასფურცელა ვარდის, ანუ ნამდვილ ვარდის
ამ ვარდისფერ მანდილს
დაჰკვდომია, ვით ბულბული დარდით,
ბელურა და... პირისფერი ვარდიც,
ფოთლებისა თუ ტოტების ფარდით,
დღემდე, სწორედ ბულბულივით,
კვლავ იფარავს მკვდარს და
აჰა, იგი ბელურასაც, როგორც ბულბულს,
კვლავ უნახავს მისებურად
საიდუმლო წადილს, ჯერ უთქმელის წადილს,
თან უმღერის, როგორც ბულბულს,
გრძელ, სევდიან ურმულს.
ნუთუ მართლა რამეთი ჰგავს
ეს ბელურა ბულბულს?!
თუ, უფრო კი, ეს ვარდია, ასფურცელა ვარდი,
გამგები და გამქარვები,
ყველა ფრთოსნის ტკივილის და დარდის?!
თუ გინახავთ ვინმეს ერთად
ბელურა და ვარდი, ბელურა და ვარდი?..

## შემოდგომა ზღვაზე

და ნამგალივით მოხრილი მთვარე,
დღეს ისევ კენტად რომ ამოსულა,
შვებით დასცქერის კვლავ მომთაბარე
ვარსკვლავთა მიერ დახატულ სურათს.
...გადაქარგული ზღვის ლურჯი მკერდი
სივრცესაც შორით ლურჯად ჰბურავდა,
ზღვის სივრცეში კი, ვით თეთრი გედი,
მთვარე ჯერ უვალ გზით მიცურავდა...
და ეს სურათი თვალს სჭრიდა ყველას —
ზღვისა თუ მიწის ყოველ ბინადარს,
ბალახებმაც კი აიდგეს ენა,
ხოლო ხემ მთვარედ ქცევა ინატრა...
ვარსკვლავები კი კვლავ განაგრძობდნენ
ზღვის მკერდზე უცხო სურათთა ხატვას,
თითქოს-და მართლაც ესმოდათ, გრძნობდნენ.
და უსრულებდნენ ბუნებას ნატვრას!

# აკაკი წერეთლის ცხოვრება

მოთხრობილი გივი გეგეჭკორის მიერ

## ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. აკაკის გამოსათხოვარი სიტყვა. აკაკის იუბილე.

1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურის გზაზე ქართველი ხალხის მტრები, ქართველი ხალხის ღირსი შვილები ილია ჭავჭავაძეს მოკლავენ.

ამ მკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე აკაკის ჩაუსაფრდებიან და გვიან ღამით შინ მიმავალს მოსაკლავად თავს დაესხმიან.

— რას სჩადით, ყმაწვილებო, აკაკი ვარო! — შეჰყვირებს აკაკი.

— აკაკი რომ ხარ, სწორედ ამიტომ გკლავთო! — ეტყვიან უგუნურები.

საბედნიეროდ, აკაკი ამჯერად გადარჩება.

ამ შემთხვევის გამო ილია ჭავჭავაძე იტყვის:

„არ ვიცი, კერძოდ, რა შემთხვევის გამო ვერ აღასრულეს ავაზაკური განაჩენი იმ საცოდავებმა — საცოდავია ის კაცი, აკაკიზე რომ ხელს აღმართავს — აბა, სხვა რა ვუწოდოთ იმას, ვინც ქართველი ხალხის მეხსიერებაში დარჩებოდა, როგორც აკაკის მკვლელი... რას დააკლებდა აკაკის ისეთი სიკვდილი? არაფერს! ყველა გვირგვინზე უფრო დიად გვირგვინს — ეკლის გვირგვინს დაადგამდა ან უგვირგვინო მეფეს საქართველოსას და მეტი არაფერი... დიმიტრი ყიფიანი ქართველებს არ მოუკლავთ — ჩვენგან შორს, გადასახლებაში, ჩვენმა მტრებმა მოკლეს და მთელი საქართველო შეიძრა — მთელი საქართველო ფეხზე დადგა — წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა აქ, ჩვენში, ქართველი კაცის ხელით რომ აკაკის სისხლი დაქცეულიყო...“

და აი, რამდენიმე ხნის შემდეგ, 1907 წლის 30 აგვისტოს ილიაზე აღმართავენ ხელს ის საცოდავები, რომლებიც ქართველი ხალხის მეხსიერებაში ილიას მკვლელებად დარჩებიან და ასეთი სიკვდილი ყველაზე უფრო დიდ გვირგვინს — ეკლის გვირგვინს დაადგამს საქართველოს უგვირგვინო მეფეს — ილიას. ილიას სისხლი დაიქცევა და მისი სიკვდილი საქართველოს გამოაღვიძებს, მთელ საქართველოს ფეხზე დააყენებს.

8 სექტემბერს გაზეთ „ისარში“ აკაკი აქვეყნებს წერილს სათაურით „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას“ და რამდენიმე ხნის შემდეგ ამავე სათაურით ლექსს წერს.

9 სექტემბერს, როცა ილიას სიონიდან გამოასვენებენ და დღევანდელ ლენინის მოედანზე ამოიყვანენ, სასახლის ქუჩაზე პროცესია შეჩერდება და სასტუმრო „კავკაზიდან“ ავადმყოფ აკაკის გამოიყვანენ. აკაკი ლოგინიდან წამოიწევა, ცხედარი დამანახვეთო, ორი მხლებელი ავადმყოფს ხელს მოჰკიდებს და აივანზე გამოიყვანს თავშიშველს, თმაგაწეწილს... ხალხი გაინაბება, აკაკი თავში ხელებს შემოიკრავს, ცხედარს შესჩივლებს და გამოემშვიდობება:

„მშვიდობით, ძმაო! გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით: ერთი გზით დავდიოდით, ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ, ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად ილაპარაკებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავ-მოყრილნი გეხვევიან გარს!.. და, ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..“

1908 წლის 7 დეკემბერს ქართველი საზოგადოებრიობა აკაკის იუბილეს გაუმართავს.

აკაკი ამ დროს ვაკეშია გაჩერებული. წყნეთის (ახლანდელი მელიქიშვილის) ქუჩიდან სიონის ქუჩამდე მთელ გზაზე უამრავი ხალხია. აი, აკაკი ლანდოში ჯდება, ლანდოში თეთრი ბედაურებია შებმული. აკაკის შავი ტანისამოსი აცვია, თეთრი თმა-წვერი თოვლივით უქათქათებს, გზადაგზა ხალხი ესალმება. სიონის ტაძარში, სადაც პარაკლისი უნდა გადაიხადონ, ხალხის ტევა არ არის.

სიონის ტაძარში რომ პარაკლისი დამთავრდება, აკაკი ტაძრიდან გამოვა და ხალხი მქუხარე ტაშითა და ვაშათი მიესალმება. თბილისის ქუჩებს სიონიდან სახაზინო თეატრამდე სადღესასწაულო ელფერი ადევს. საქართველოს უგვირგვინო მეფეს ყველანი ქუდმოხდილნი ეგებებიან.

თეატრის დარბაზში კი საზეიმო დღესასწაული 12 საათზე დაიწყება. სცენაზე გამოჩენილ აკაკის ხალხი მქუხარე ტაშით მიესალმება და „გაუმარჯოს საქართველოს!“ ძახილით წამოიშლება. აკაკის ამაღლებულ ადგილზე დადგმულ სავარძელში ჩასვამენ. გუნდი ზაქარია ფალიაშვილის მიერ ამ დღისათვის დაწერილ „მრავალჟამიერს“ იმღერებს.

შესავალ სიტყვას იაკობ გოგებაშვილი იტყვის და დილის ზეიმი ოთხ საათამდე გაგრძელდება. დილის ზეიმზე გამოვა ფშავიდან ჩა-

# აკაკი და „ნაკადულის“ რედაქცია

ცნობილმა მოღვაწე ქალმა, მარიამ დემურიამ როგორც კი საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ გამოცემის უფლება მიიღო, სულმნათ პოეტს ახარა და თანამშრომლობა სთხოვა. აკაკიმ გაიხარა, ჟურნალის სახელი ღიმილით გაიმეორა და დასძინა: სახელწოდება კარგია, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ცენზურა არ დაგვეთანხმოს, რადგან მეფის მთავრობის მოხელეები სიტყვა „ნაკადულს“ გაიგებენ, როგორც „Нас как дули“-ო. მერე დაუმატებია, კარგია „ნაკადული“, „ჯეჯილს“ მორწყავს და საუცხოო მოსავალი გვექნებაო.

1904 წლის ნოემბერში გამოვიდა „ნაკადულის“ ორი პირველი ნომერი, რომელთაგან ერთი მოზარდებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო მეორე მცირეწლოვანთათვის. აქ დაისტამბა აკაკის ორი პოეტური შედევრი — ლექსი „ნაკადული“ და იგავ-არაკი „შოშია“.

ყოველთვის, როცა კი აკაკი თბილისში ჩამოვიდოდა, უთუოდ ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციასაც უნდა სწვეოდა და თავისი ახალი საბავშვო ნაწარმოები მიეტანა.

1908 წელს საქართველომ ზეიმით აღნიშნა დიდებული მგოსნის სამწერლო მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე. საიუბილეოდ საკადრისად მო-




მოსული ვაჟა. რომელსაც ხალხი აღფრთოვანებით შეხვდება. ვაჟა ლექსს წაიკითხავს და აკაკის მშობელი ქვეყნის მოზარეს უწოდებს.

აკაკის სავანელები მის აკვანს მიართმევენ, პოეტი ცრემლებს ვერ შეიკავებს და იტყვის: ამაზე უკეთესი საჩუქარი მე არ მომივათ.

ზეიმი საღამოს გაგრძელდება. აკაკის მრავალი დელეგატი მიულოცავს და საღამო მისი სიტყვით დამთავრდება:

„ბატონებო! 50 წელიწადი ვებრძოდი უსამართლობას, განსაკუთრებით შინაურ უკულმართობას — იარაღად ვხმარობდი სიტყვას და კალამს. სადაც მცირეოდენ, ძალიან მცირეოდენ თაფლთან ერთად ბევრი ნაღველი იყო ჩემივე ცრემლებში ჩალესილი... ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევინა და ვინ იცის, რამდენჯერ გამისკდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობლები არა მყოლოდა...

მე ჩემი თავი ყოველთვის მიმაჩნია პატარა დღიურ მუშად, ძალიან მცირედ, ასე რომ, თუ ჩემ შრომას ვინმე ყურადღებას მიაქცევდა, არ მეგონა, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ შემცდარი ვყოფილვარ და დღეს ჩემი შრომა ერთიათად ფასდება. და რას უნდა მივაწეროთ ეს? იმას, რომ ხალხში აღძრულა ეროვნული გრძნობა, რომ მას ჰყავდეს ნამდვილი მოღვაწე და გმირი, რაც მე მხოლოდ მოჩვენებულათა ვარ. მას, ამ დიად გრძნობას შევუერთებ ჩემს ნატვრასაც, რომ მოვლინებოდეს ის სანატრელი გმირი..."

## აკაკი და ბავშვები. ნიკო ლორთქიფანიძის მოგონება. ორი შემთხვევა.

1884 წელს აკაკი ჟურნალ „ნობათში" საბავშვო ლექსებს აქვეყნებს და ამავე წელს კრილოვის იგავ-არაკების გადმოქართულებას იწყებს.

წლების განმავლობაში აკაკი საკუთარსა და გადმოქართულებულ ლექსებს საყმაწვილო ჟურნალებში — „ნობათში", „ნაკადულში", „ჯეჯილში" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავს და იაკობ გოგებაშვილს მრავალი მისი ლექსი „დედა ენაში" შეაქვს.

აკაკი მუდამ ბავშვებით არის გარშემორტყმული. იგი ბავშვებთან იცვლება, მათი ტოლი ხდება, ბავშვებს აცინებს და იცინის, ამბებსა და ზღაპრებს უყვება და აყოლებს.

ნიკო ლორთქიფანიძე იგონებს ქუთაისის ერთ ზამთარს და დავით მიქელაძის (მეველეს) ოჯახში გატარებულ ერთ საღამოს, სადაც დიდი საზოგადოება შეიკრიბება. ნიკო ლორთქიფანიძეს წელი არ ახსოვს, მაგრამ ამბობს: იმ ხანებში აკაკიმ მასპინძლის ვაჟს, პატარა ივერიკოს ცნობილი საბავშვო ლექსი „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა" უძღვნაო. ამის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ 1884 წელია. ოჯახში სტუმრად არიან ყაზბეგი, მამია გურიელი და აკაკი.

კეთილი აკაკი ტკბილი საუბრით ბავშვებს ათამაშებს და ბავშვებიც უფრო მას ეხვევიან. ერთ ლექსს რომ ბავშვები ამბობენ, ორს აკაკი ამბობს. როცა ერთი ბავშვი აკაკის წაუკითხავს მის ლექსს „ქართველი უცხოეთში", რომელიც დიმიტრი ყიფიანს ეძღვნება, აკაკის სახე გაუბრწყინდება და სიხარულით იტყვის: „შეხე, ამათაც იციანო".

იმ ოთხ მოგონებაში, აკაკი რომ იხსენებს და ამბობს: სიცოცხლის სიმწარე გამიქარვეს და ნეტარი წამები განმაცდევინესო, ორი მოგონება ბავშვებს უკავშირდება.

ერთხელ თურმე აკაკი ფრეილინის (ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის) ქუჩაზე მიდის. წინ ვილაც გამდელი შემოხვდება, იმას, როგორც აკაკი ამბობს, ამაყად ფეხადგმული ბავშვი მოჰყავს. პატარა ძლივს მობაჯბაჯებს, აკაკის დაინახავს თუ არა, ბავშვი შესცინებს, თითს გაბზეკს და ძლივს წაილუღლუღებს: „აი, აკაკი!" აკაკი გაშტერდება. გამდელი ბოდიშს მოიხდის, ამა და ამ კაცის შვილია, თქვენ პირადად არ გიცნობენ, მაგრამ თქვენი სურათი ოთახში უკიდიათ და ბავშვმა იმ სურათით გიცნოთო. აკაკი ამბობს: ისეთი სიამოვნება ჩემს დღეში არ განმიცდია, „საზოგადოების თანაგრძნობას უჩვეულო არა ვარ, ვინ მოსთვლის, რამდენი ტაში მომისმენია, რამდენი ვაშა გამიგონია? რამდენი სასიამოვნო რამ მინახავს? მაგრამ არც ერთხელ ის არ მიგრძვნია, რაც იმ პატარა ბავშვის თითმა და ნატიტინებმა მაგრძნობინაო"...

მეორე შემთხვევაში აკაკი გოლოვინის (ახლანდელ რუსთაველის) პროსპექტზე გამოვა. უეცრად წვიმა დაუშვებს. უპალტოო აკაკი სასტუმროსაკენ გაეჩქარება და ამ დროს ზურგიდან გაიგონებს: ბატონო აკაკი, მოიცადეთ! აკაკი შეჩერდება, მიიხედავს, მასთან თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა მიიჭრება და ქოლგას შესთავაზებს: აი, ინებეთ და შერე მიბოძეთო!

— მერე თქვენ? — შეეკითხება აკაკი.

— მე არა მიჭირს რა, რომ დავსველდე და თქვენ, ვაი, თუ გაცივდეთო.

გოგონა რომ აღარ მოეშვება, აკაკი გადაწყვეტს, ქოლგას თავი ორივემ შეაფაროს და ასე მივიდნენ იმ სასტუმრომდე, სადაც აკაკია გაჩერებული. სასტუმროს კარს რომ მიადგებიან, აკაკი შედგება, გოგონა გამოეთხოვება და ქოლგიანად გზას გაუდგება. აკაკი ამბობს: იმ გოგონას სახელი და გვარი დღესაც არ ვიცი, მაგრამ მისი უმანკო, ბავშვური სახე მუდამ თვალწინ მიდგასო...

აკაკი მომავალ თაობებს გრამოფონის ფირფიტაზე 1913 წელს ჩაწერილი სიტყვით მიესალმება და ეტყვის:

გამარჯობა თქვენი, ახლად მომავალნო! მე, უკვე მიმავალი, გეთხოვებით და ვსწუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ, გარდა ხვეწნა-ვედრებისა: გიყვარდეთ თქვენი სამშობლოო!

ემზადა „ნაკადულის" რედაქციაც. ჟურნალის საიუბილეო ნომერი საყვარელი პოეტის პოეზიისა და პროზის არაერთი მარგალიტით იყო გასხივოსნებული.

იუბილეზე გამოსასვლელად ბავშვები წინასწარ „ნაკადულის" რედაქციაში მოემზადნენ. ამ ღონისძიების მონაწილე საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი მერკვილაძე იგონებს, რომ იუბილეზე მოსალოცად ხუთი ბავშვი მოუმზადებიათ და მათთვის ცოცხალი ყვავილებისაგან დაწნული ხუთი ასო ა-კ-ა-კ-ი მიუციათ სცენაზე გასატანად. „ლექსის წაკითხვა ერთ ბავშვს ჰქონდა მინდობილი, მაგრამ იუბილეზე გამოსვლამდე ერთი საათით ადრე გამოირკვა, რომ ლექსით მე უნდა მიმემართა პოეტისათვის. საღამოს ორგანიზატორებს ეშინოდათ, არაფერი შემშლოდა და სცენის მოკარნახე ბეგლარ ახოსპირელი მომიჩინეს. სცენაზე რომ გავედით, შიშმა გამიარა და ლექსის თქმა კარგად მოვახერხე. ცრემლმორეულმა აკაკიმ მაგრად ჩამიკრა გულში და ბავშვებს მოგვმართა სიტყვით, რომელიც ჩაწერილია ფირფიტაზე: „ბავშვებო, კარგად დაიმახსოვრეთ დღევანდელი დღე. ყოველი თქვენგანი ისე უნდა იწვოდეს თავისი ხალხისთ-

## ვალდებული ვარ

საქართველოსთვის
ნერგი ახარო,
საქართველოსთვის
ხნული გაავლო,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!
საქართველოსთვის
სივრცე გაჰკვეთო,
საქართველოსთვის
ენთო, ილვაწო,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!
საქართველოსთვის
ევნო, ეწამო,
საქართველოსთვის
თავი გასწირო,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!
საქართველოსთვის
ვაზი დაწინდო,
ხეხილზე ნერგი
ამყნო ახალი,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!
რადგან ქართველი
გქვია სახელად,
უნდა კიდევაც
მისთვის ივარგო,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!
უნდა დაიცვა
ენა ქართული,
უნდა დაიცვა
სიწმინდე შენი,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!
რომ იგუგუნო,
რომ იხმაურო,
ზნელეთს ჩამოხსნა
ჰიშკარი მძიმე,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!
იდუმალებას
ახადო რიდე,
ღრუბელი შავი
გაჰფანტო ცაზე,
ვალდებული ხარ,
თაობავ ჩემო!

## ფიქრი

გამწირავს ბედი თუ არ
გამწირავს,
ვიდრე მივაღწევ მწვერვალთ
სიმაღლეს?!
ცხოვრების ტალღა კლდეზე
მიმამსხვრევს,
თუ მზე ამინთებს სხივთა
ჩირაღდნებს?

●

მტკივა კრწანისი,
მარტყოფის ველი
და ნარიყალა,
რა დრო განკურნავს,
რა საუკუნე,
რა წლები ნეტა?
ცხენთა ჭიხვინი ისევ მესმის,
გარდასულ დღეთა,
მამათა სისხლი კვლავ ატყვია
მეტეხს და მცხეთას.

●

თვალის უპეში
ცრემლი
ლიცლიცებს
და ერთვის
სევდას.

●

ეშმას ხახაში
გაჩრილი ვყავარ,
ველარც მელევა
და ველარც მყლაპავს.

●

ჩემი ფიქრები
შემოსხდომიან,
ვით ბელურები,
შენს ფანჯრის რაფას,
გაუნაწილე სითბო გულისა,
მოფრინდნენ რახან.

ვის, რომ ასე დაფასდეს, როგორც მე დამაფასა ხალხმა“...

ფარდა რომ დაეშვა, იუბილეს მონაწილე ბავშვები პოეტის წადილით მასთან მიუყვანიათ. აკაკი ყველას მოალერსებია და შემდეგ იქ დამსწრეთათვის უთქვამს: ამ ბავშვმა ლექსით რომ მომმართა, მაშინვე თვალზე ცრემლი მომადგა და იქნება მეტირა კიდეც, რომ ამ ბავშვს (ახლა მერაბ ჯორჯაძეზე მიუთითა) არ შევეკავებინე, კინაღამ უცებ სიცილიც არ დავიწყე: ამოეღო ამ კუდრაჭას ხანჯალი და სცენის „ბუტკაში“ ბეგლარს უტევდა: „ნუ უშლი ხელს შენი კარნახით, შენ კი არა, ჩვენ უნდა ვუთხრათ პოეტს ლექსიო“.

მარიამ დემურიას შემდეგ „ნაკადულს“ რედაქტორობდა მწერალი ნინო ნაკაშიძე, რომელიც დიდად აფასებდა აკაკის ნიჭს და პატარების საყვარელი ჟურნალის დიდ მეგობრად თვლიდა მას. მგოსნის ყოველი მოსვლა რედაქციაში ზეიმი იყო მისი თანამშრომლებისათვის.

„ნაკადულის“ რედაქციის ყოფილი თანამშრომელი თამარ კარბელაშვილი იგონებს: „აკაკი წერეთელს პირადად ჩვენს რედაქციაში გავეცანი: მახსოვს, პოეტი მოვიდა ჩვენთან, ლექსი მოიტანა და იკითხა „ნაკადულის“ რედაქტორი. სანამ მე მეორე ოთახში გავიდოდი და ქალბატონ ნინოს სტუმრის მობრძანებას ვაცნობებდი, რედაქტორს მისი ხმა გაეგონა, თვითონ გამოვიდა, ახლობლურად მიესალმა მგოსანს და გააცნო ჩემი თავი, ეს თანამშრომელი გოგონაა, თამარ კარბელაშვილიო.

— ვისი ქალიშვილიაო? — იკითხა პოეტმა და როცა ვუპასუხე, ვასილის ქალიშვილი გახლავართ-მეთქი, თვალები გაუბრწყინდა, მხარზე ხელი შემახო და მითხრა: ვასილს კარგად ვიცნობ, ღირსეული ქართველი მამულიშვილია და მჯერა, რომ მისი შვილი აქ კარგი თანამშრომელი იქნებაო.

— მართალი ბრძანდებითო, — დაუდასტურა ქალბატონმა ნინომ და მერე პოეტს მოახსენა: — აქ მეორე ოთახში ბავშვებს ვამეცადინებდი ლექსის მხატვრულ კითხვაში და თუ დრო და სურვილი გაქვთ, იმ პატარებს შეგახვედრებთო. აკაკი დათანხმდა.

ნ. ნაკაშიძემ მაშინვე მეორე ოთახიდან გამოიყვანა ხუთი თუ ექვსი ბავშვი, პოეტის წინ გაამწკრივა და რამდენიმე წუთის წინ შეწყვეტილი მხატვრული კითხვა თავიდან დააწყებინა.

პატარებმა, ათი-თორმეტი წლის ბავშვებმა, წაიკითხეს ილიას, აკაკისა და დუტუ მეგრელის ლექსები.

როცა კითხვა დამთავრდა, აკაკი ფეხზე წამოდგა, ბავშვებს ალერსიანად თავზე ხელი შეახო, შეაქო და ურჩია, კარგი სწავლით გაეხარებინათ სამშობლო. ის იყო, პოეტმა წასვლა დააპირა, რომ ნინომ პატარებს მიმართა: ბავშვებო, რახან დღეს ჩვენი სტუმარია დიდი აკაკი, მოდით, მისი „სულიკო“ ყველამ ერთად ვიმღეროთ.

ბავშვებთან ერთად ჩვენც დავიწყეთ მღერა. გალიმებული პოეტი სიამოვნებით თავს იქნევდა და თვითონაც მძიმედ იმეორებდა თავისი ლექსის სტრიქონებს.

ის სამახსოვრო დღე არასდროს დამავიწყდება“.

შალვა მარკოზაშვილი

# რატომ ფხიზლობს გულისაბა ღამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ ქადაგიძე

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

ზღაპარი

ძალიან უკვირდათ ყვავილებს, ღამით რომ ფხიზლობდა და დღისით კი ეძინა გულისაბას, ხშირ-ხშირად მუსაიფობდნენ მისი ამ უცნაური საქციელის გამო.

— მაგისი ვერაფერი გამიგია, — ამბობდა ვარდკაჭაჭა და, ისედაც ტანმაღალი, კიდევ უფრო იმაღლებდა კენწეროს, რათა ყველას დანახვებოდა და ხმაც უფრო ადვილად მიეწვდინა. — ერთი სული მაქვს, სანამ გათენდებოდეს, თვალებსაც რაც შეიძლება ფართოდ ვახელ ამომავალი მზის დასანახავად, გულისაბა კი მაშინვე თვალებს მილულავს და იძინებს.

— მართლაც გასაოცარი ამბავია, უმოწმებდა ოქროსღილა, — მზის დანახვა საკუთარ თავს მირჩევნია, ეგ კი ზედაც არ უყურებს, თითქოს მისი თვალით დანახვაც არ უნდაო. ალბათ მზე არ უყვარს გულისაბას.

— მე მგონი, მეტიჩრობით მოსდის, — ჩაერია გვირილა. — ერთი კარგად შეხედეთ, განა არ ეტყობა, რომ ნამდვილი მეტიჩარაა?

— გემოვნებაზე არ დაობენ, — ფილოსოფიურად შენიშნა ბაბუაწვერამ. — რას ერჩით, იქნებ ღამის ცა ურჩევნია საყურებლად.

— ღამის ცა? — შესძახა ოქროსღილამ. — ნეტავი ღამით რა არის დასანახი...

— მაგას ნუ იტყვი, — შეეკამათა გვირილა, — ცა ღამითაც ლამაზია. ძალზე სამო საყურებელია ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, მთვარე ხომ დიდებული სანახავია, ლაპარაკი არ უნდა.

— მაგრამ მზეს ვერაფერი შეედრება! — ჩამოართვა სიტყვა ვარდკაჭაჭამ, თან თვალი დაჯერებულად მიმოავლო ირგვლივ, აბა, საწინააღმდეგო აზრისა თუ არის ვინმეო.

არავის გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი. პირიქით, უპირველეს ყოვლისა, თვითონ გვირილამ დაუმოწმა სასწრაფოდ, მზეს მართლაც ვერაფერი შეედრებაო. დანარჩენმა ყვავილებმაც ერთხმად მისცეს ბანი გვირილასა და ვარდკაჭაჭას, გულმხურვალე ხოტბა შეასხეს მათთვის ყველაზე უსაყვარლეს და ულამაზეს მნათობს მნათობთა შორის. „მზე, ჩვენი დიდებული და უმშვენიერესი მნათობი, ყველაზე ბრწყინვალე და მოალერსე, ყველაზე გულთბილი და თვალცეცხლიანია, განა არსებობს ამ ქვეყნად მისი ბადალი?“ — ახმაურდნენ ყვავილები, თვალები გაუბრწყინდათ, კიდევ უფრო აუელვარდათ ისედაც ელვარე, ფერად-ფერადი ფურცლები.

— იქნებ სულაც ბრმაა საბრალო გულისაბა და იმიტომ ვერ ამჩნევს მზის სილამაზეს, — გამოთქვა ვარაუდი მწვანე ბალახში მიყუჟულმა ცისთვალამ.



— ალბათ მართლაც ბრმაა, — დაუდასტურა მზესუმზირამ. — იმ ყვავილს თვალხილულად როგორ ჩავთვლი, რომელსაც მზის დანახვა არ ახარებს, მზისკენ თავს თუ ვერ მიაბრუნებს, თვალი მაინც უნდა გაახილოს მის დასანახავად. ეს განსაკუთრებით განთიადს ეხება, მზის ამოსვლის ჟამს. განთიადზე უმშვენიერესი სანახავი არაფერია ამ ქვეყნად.

— ჩუ, მგონი იღვიძებს, — წაიჩურჩულა მაჩიტამ.

მართლაც, გულისაბა უკვე ისე იშმუშნებოდა, აშკარა იყო, გაღვიძებას აპირებდა. მზე უკვე დასალიერს მიუახლოვდა. ცოტაც და, ჩაეშვა კიდეც ცისკიდურს მიღმა. გულისაბამაც, თითქოს ამას ელოდაო, მაშინვე თვალები გაახილა.

— ზურგსუკან დაუსრულებელ ლაპარაკს სჯობს, თვითონ გულისაბას ჰკითხოთ, რატომ ფხიზლობს ღამით, დღისით კი იძინებს, — გადაუჩურჩულა ყვავილებს ბაბუაწვერამ.

— სწორია, ასე აჯობებს, — კვერი დაუკრეს ყვავილებმა და გულისაბასთან სასაუბროდ მოემზადნენ.

საერთოდ, ყვავილები ძალიან ზრდილობიანები არიან. ასე რომ არ იყოს, მაშინ არც ეგზომ ლამაზები იქნებოდნენ. ზრდილობა ხომ ყველას ძალიან ალამაზებს. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ყვავილებმა სალამი უძღვნეს ახლად გამოღვიძებულ გულისაბას, არც იმის კითხვა დაივიწყებიათ, ხომ კარგად გეძინაო.

გულისაბამ სალამი დაუბრუნა ყვავილებს, ზრდილობა არც მას აკლდა. მშვენივრად მეძინაო, სთქვა და მადლობაც გადაუხადა ყურადღებისათვის.

სალამ-ქალამის შემდეგ მაშინვე შეკითხვები რომ დაეყარათ გულისაბასთვის, ირ იქნებოდა ლამაზი და ყვავილებმა ჯერ აქეთურ-იქითურზე ილაპარაკეს. მშვენიერი ამინდიაო, თქვეს, გვალვას ვერაფრით დაარქმევ, თუმცა წვიმის მოსვლა მაინც სასურველიაო.

ამის შემდეგ კი უკვე შეიძლებოდა იმ საკითხზე ლაპარაკის ჩამოგდება, რომელიც ასე ძალიან აინტერესებდათ ყვავილებს.

— გვინდა გავიგოთ, გულისაბა... — წამოიწყო ცისთვალამ ფრთხილად, ნოდა, ისევ ღამის მოწმენდილ ცას გაუშტერა თვალი და ცოტა ხანში ყველაფერი დაავიწყდა, იმდენად მოიხიბლა ღამეული ცის სილამაზით.

.. დილით კი, მზის ამოსვლისას, ზრდილობიანი სალამ-მოკითხვის შემდეგ, თვითონ გულისაბამ ჰკითხა გამოღვიძებულ ყვავილებს, მგონი, რაღაც გინდოდათ ჩემთვის გეკითხათ, პირმშვენიერო დობილებოო.

ყვავილებმა მაშინვე ყელი მოიღერეს სალაპარაკოდ, ყველა ერთდროულად ახმაურდა, ერთმანეთს აღარ აცლიდნენ. გვითხარი, დაიკო გულისამა და ერთ მშვენიერ საღამოს სულ წვრილად ჩაუკენჭა გულისაბას ყვავილების ნალაპარაკევი, არაფერი დავიწყებია — ბრმასა და მეტიჩარას გეძახიანო, სულ სიცილ-კისკისით აუწყა. არც მზესუმზირას ნათქვამი გამორჩენია: იმ ყვავილს ყვავილად ვერ ჩავთვლი, რომელსაც განთიადის დანახვა არ უყვარს და არ ახარებსო.

გულისაბას გულზე მოხვდა ნიავის მოტანილი ამბავი, თვალში ცრემლი ნამივით აუკიაფდა.



მაგრამ ვერ გააგრძელა. თვალები მიელულა და მაშინვე მიეძინა.

მის ნაცვლად მაჩიტამ სცადა საუბრის გაგრძელება, მაგრამ ორიოდე სიტყვის შემდეგ მასაც ხმა ჩაუწყდა და გულიანად ჩაეძინა.

ვერც გვირილამ და ოქროსლილამ მოახერხეს რაიმეს თქმა, თუმცა კი დიდი ამბით აჭყეტდნენ თვალებს და სასაუბროდ იწევდნენ. რაც შეეხება ვარდკაჭაჭას, საერთოდ არ გაუღია ხმა, ყველაზე ადრე სწორედ მას ჩაეძინა.

თვითონ გულისაბა კი, პირიქით, საბოლოოდ გამოფხიზლდა. თვალები კიდევ უფრო ფართოდ გაახილა. ცისკიდური თანდათან დაიბინდა, ცაზე აქა-იქ უკვე აკიაფდნენ ვარსკვლავები, გულისაბა სწორედ მათ შეჰყურებდა, თან გულში ფიქრობდა, ნეტავი რისი თქმა უნდოდათ ჩემთვის ყვავილებსო. მაგრამ ყვავილებს გულიანად ეძინათ.

გულისაბასაც მეტი რაღა დარჩენოდა, ... ბა, ღამით რატომ ფხიზლობ და დღისით რატომ გძინავს, ნუთუ ასე თვალით დასანახავად გეჯავრება ჩვენი მზე, ჩვენი უსაყვარლესი, ალერსიანი მნათობიო.

მაგრამ გულისაბას მათი აღარ ესმოდა, მაგრად შეკუმშა ფერადი ნაზი ფურცლები და გულიანად დაიძინა.

შემდეგ დღეებშიც ასევე მოხდა. და ვინ იცის სანამდე გაგრძელდებოდა ასე, ნიავს რომ არ ეშველა მათთვის.

მოგეხსენებათ, ნიავი ძალიან ჭორიკანაა, ენის მიტან-მოტანაში ბადალი არ ჰყავს. ერთის ნალაპარაკევი დაუზარელად მიაქვს მეორესთან და — პირიქით. ამასთან, სულაც არ ენაღვლება, რა შედეგს გამოიღებს ენის გაუთავებელი მიტან-მოტანა, სასიკეთოს, სატირალს თუ უსიამოვნოს, ნიავი ყოველთვის ერთნაირად დაურიდებლად ქირქილებს.

ჰოდა, არ დაიზარა ჭორიკანა ნიავ-

— ეჰ, რა ტყუილად მდებენ ბრალს ყვავილები, თითქოსდა მზის დანახვა არ მიხაროდეს, — შესჩივლა ნიავს. — მზესუმზირას ნათქვამი ყველაზე დიდი უსამართლობაა იმასთან შედარებით, რაც მსმენია. მე ხომ სწორედ იმიტომ ვფხიზლობ ღამით, რომ განთიადის ყურება მიყვარს ყველაზე მეტად.

გულისაბას ნათქვამი ნიავს ისე გაუკვირდა, რომ მაშინვე დადინჯდა, შორს წასვლა გადაიფიქრა და ყური მიუგდო, ვნახოთ, კიდევ რას იტყვისო.

თვალცრემლიანმა გულისაბამ საოცარი რამ უამბო ნიავს.

— დიდებული რამაა მზის განთიადი, — დაიწყო გულისაბამ. — მასზე მშვენიერი სანახაობა, მართალი გითხრა, არ მეგულება. მაგრამ არის კიდევ სხვა მნათობთა განთიადებიც...

— მაგალითად, მთვარის განთიადი. — სიტყვა ჩამოართვა სულსწრაფმა ნიავმა, — მაგრამ მის საყურებლად

სულაც არაა აუცილებელი მთელი ღამის თვალმოუხუჭავი გათენება.

— მთვარის განთიადიც ლამაზია, რა თქმა უნდა, — დაუდასტურა გულისაბამ, — და როგორც სწორად შენიშნე, მის საყურებლად ღამის გატეხვა არ არის საჭირო. მე ვარსკვლავთა განთიადები მაქვს მხედველობაში. ყოველი ვარსკვლავი ხომ იგივე მზეა, ოღონდ ვარსკვლავები შეუდარებლად შორსაა ჩვენგან, ვიდრე ჩვენი მზე...

— ოჰ, ოჰ... რას ამბობ, გულისაბა, — გულიანად გადაიკისკისა ნიავმა,— თავად ვარსკვლავებიც ძლივს ჩანან ხოლმე, მათ განთიადებს როგორღა ხედავ...

— ნუ იცინი, ნიავო, და ყური კარგად დამიგდე — ხმაში წყენა გაერია გულისაბას,—მთელი ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ამოდიან სულ ახალ-ახალი ვარსკვლავები, ანუ მზეები, და მთელი ღამე, ყოველ წამს სულ ახალ-ახალი, ნაირ-ნაირი განთიადები ინთება ცისკიდურზე. რომ იცოდე, რა საოცარი სანახაობაა, არასოდეს არ მბეზრდება მათი ყურება. ყოველი მათგანი თავისებურად მშვენიერი და შეუდარებელია. აი, ამ წუთას, ჯერაც არ ჩამქრალა საბოლოოდ ჩვენი მზის ოქროსფერი არილი, ცისკიდურზე კი უკვე ინთება შორეული მზის, ანუ მზე-ვარსკვლავების განთიადი. ერთიანად ალისფერი გადასდის იმ ახლად ამოსულ მზე-ვარსკვლავს და ამიტომ მისი განთიადიც ძალზე უხვადაა შეფერილი მუქწითელი ფერებით, ბევრად უფრო უხვად, ვიდრე ჩვენი მახლობელი მზის განთიადი. გეგონება, ალისფერი კოცონი გიზგიზებსო, თბილი, ალერსიანი ფერებით ავსებს ირგვლივ ყველაფერს, მის მაყურებელს მთელ სხეულში სითბო მელვრება.

გულისაბა გაირინდა და იმ ალისფერი სხივების ნიაღვარში ჩაიძირა, რომელსაც მხოლოდ თვითონ ხედავდა, მერე კი განაგრძო:

— აგერ მეორე, ცისფერი მზე-ვარსკვლავი ამოდის. ცისფრად უელავს თვალისმომჭრელად მბრწყინავი ბადრო, ცისფერია მისი სხივთა კონებიც, რომლებითაც იგი ასე გულუხვად ჰქარგავს ცისკიდურს. რა საამოა სახილველად ამ ცისფერ სხივთა ნიაღვარი, ჩანჩქერივით რომ მოედინება ზეცის სიღრმიდან.



ნიავს არ შეეძლო ყოველივე ამის დანახვა, მაგრამ ისე გააკვირვა გულისაბას აღტაცებულმა სიტყვებმა, შორეულ მზე-ვარსკვლავთა ქებათაქებამ, რომ სულგანაბული უგდებდა ყურს.

— ოჰ, კინაღამ მხედველობიდან გამომრჩა, — ხმამაღლა შეიცხადა გულისაბამ, — შენთან ლაპარაკში გავერთე... ხედავ? მარგალიტისფერი განთიადი აენთო... თითქოს მართლა მარგალიტი ამოგორდა ცისკიდურიდან. ნაზი მარგალიტისფერი სინათლე მოეფინა ირგვლივ ყველაფერს. რა მიმზიდველია, რა იდუმალი... გეგონება, თავისკენ გიხმობს, რათა უფრო ახლოს გაეცნო ამ ულამაზეს სამყაროს.

მცირე ხნით იყუჩა, ხმას არც ნიავი იღებდა. მერე კი ისევ წამოიწყო:

— შენ კი, პაწაწინავ, გგონია, ვერ დაგინახე? — ალერსიანი ხმით ალაპარაკდა ცისკიდურზე მიჩერებული გულისაბა. — ვხედავ შენს პაწია, მკრთალ სინათლეს, შენს მოკრძალებულ განთიადს. კიდეც ჩანხარ და არც ჩანხარ, მაგრამ მაინც ანათებ, ამდენ ბრდღვიალა განთიადში ჩაფლული. ყველაფრის მიუხედავად მაინც არ დაგიკარგავს საკუთარი სინათლე.

ნიავს არც ახლა დაუძრავს კრინტი და არც იმ პაწია მზე-ვარსკვლავის დანახვა უცდია. ეს ხომ სრულიად უსარგებლო იქნებოდა, ამაში წინასწარ იყო დარწმუნებული...

— სალამი შენდა, თოვლისფერო მზე-ვარსკვლავო, — გაისმა ისევ აღტაცებული გულისაბას ხმა, — რა მშვენიერია შენი თეთრი, თოვლივით ქათქათა ბადრო, შენი კამკამა სხივები. თეთრი, წმინდა სინათლით აივსო მთელი ზეცა, მთვარე ერთიანად ჩაიძირა ამ თეთრი სხივების ზღვაში, მთლად უხილავი გახდა, ძალზე შორსა ხარ აქედან, მაგრამ მეტად ძლიერია შენი სხივთა კონა, თეთრი სხივების ბილიკებით ლამის მთელი სამყარო დაგიქსელავს...

აქ კი ნიავმა იფიქრა, რადგან ასე ძლიერი ყოფილა თოვლისფერი სხივთა კონა, იქნებ ამ თეთრი განთიადის დანახვა მაინც შევძლოო, მაგრამ ამაოდ დაშვრა...

თეთრი განთიადის ყურებით რომ დატკბა, გულისაბამ ახლა სხვა მზე-ვარსკვლავისკენ მიმართა მზერა.

— ახლა კი ჩვენს მახლობელ მზესავით ოქროსფერი, მაგრამ ბევრად უფრო შორეული მზე-ვარსკვლავიც ვნახოთ, — უჩვეულოდ თბილი, დამტკბარი ხმით ალაპარაკდა იგი. — შეხედე, რა დიდებულად ამოსხლტა ცისკიდურიდან მისი ოქროსფერი ბადრო. ასევე, ერთიანად ოქროსფერია მისი განთიადიც! ჩვენი მახლობელი მზე გეგონება. შეხედე, ნიავო, რამდენი სხვადასხვა ფერის მზე-ვარსკვლავი ბრწყინავს ცისკიდურზე, რამდენი სხვადასხვა ფერის განთიადი ანთია. და მათ შორის ოქროსფერი მზე-ვარსკვლავის განთიადი გამორჩეულად მომწონს და მესალბუნება, იგი ხომ ტყუპისცალივით ჰგავს ჩვენს მახლობელ მზე-ვარსკვლავს, მე კი ყველაზე მეტად სწორედ ჩვენი მახლობელი მზე-ვარსკვლავი მიყვარს.

ნიავმა კმაყოფილებით ჩაიღიმა, მიუხედავად თავისი თავქარიანობისა, მაინც მოეწონა, მახლობელ მზე-ვარსკვლავს რომ მიუძღვნა ყველაზე საამო სიტყვები გულისაბამ.

გულისაბას კი ახლა სულ სხვა მხა-

რეს მიეპყრო მზერა და თავისას აგრძელებდა:

— აი, ეს კი ზეცის ლურჯი თვალია, ლურჯი მზე-ვარსკვლავი. კარგად შეხედე, ნიავო, თითქოსდა გაფურჩქნილა ცისკიდურზეო. ისიც ძალიან შორსაა ჩვენგან, მაგრამ მე თითქმის შევიგრძნობ მისი სხივების მხურვალებას, იმდენად მწველია ისინი. ნახე, როგორ უციმციმებს თვალები...

აქ კი ნიავს მოთმინებამ უღალატა, ისედაც დიდხანს გაძლო ასე დადინჯებულად, ყური აღარ უგდო გულისაბას, გაშალა ფრთები და—ფრრიიი! — გაფრინდა.

მაგრამ რაც მოისმინა, ისიც სრულიად საკმარისი იყო. ყვავილებს თითქოს ენა წაერთვათ, ხმაც კი ვერ დასძრეს, როცა ნიავმა გულისაბას ნალაპარაკევი ამცნო მათ. შერცხვათ, როდესაც გაიგეს, რომ სულ ტყუილად სდებდნენ ბრალს გულისაბას, მზე არ უყვარსო, მეტიჩარააო. თურმე ნუ იტყვით, გულისაბა მთელი ღამე შორეული მზე-ვარსკვლავების ნაირ-ნაირ განთიადებს უჭვრეტს, მათი საოცარი სილამაზით ტკბება. ამასთანავე არავისზე ნაკლებად არ უყვარს ჩვენი მზე და მისი ოქროსფერი განთიადი.

კარგახანს დუმდნენ ყვავილები, ხმას ვეღარ იღებდნენ დარცხვენილები, თავიც დამნაშავეებივით ჩაექინდრათ. ბოლოს ბაბუაწვერამ ამოიოხრა და ფილოსოფიურად დაასკვნა, რას იზამ, ხანდახან ასედაც ხდება: სწორედ ის ჰგონიათ ბრმა, ვისაც ყველაზე მახვილი თვალი აქვსო.



იაკობ 150



გოგებაშვილი

# ბიბლიური ისტორია

## კაენის დასჯა და სეითის შობა

(დაბ. 4, 9-12, 25)

საშინელი ცოდვა ჰქმნა კაენმა, მაგრამ ყოვლადმოწყალე ღმერთს არ უნდოდა საუკუნოდ დაღუპვა ამისთანა ბოროტი კაცისაც კი. მას სურდა, სინანულში ჩაეგდო კაენი, ამიტომ გამოეცხადა და ჰკითხა: კაენ, სად არის შენი ძმა აბელი? კაენმა სინანულის მაგივრად ბრიყვულად და ამაყად მიუგო: რა ვიცი, ჩემი ძმის ყარაული ხომ არა ვარ! მაშინ უფალმა მრისხანედ უთხრა: ეს რა ჰქმენი, შენა? ხმა სისხლისა ძმისა შენისა მიწიდან ამოჰკივის ჩემამდე! იყავ წყეული ქვეყანაზედ, თრთოდე შიშითა და ვერ ჰპოვებდე მოსვენებას მთელს შენს სიცოცხლეში!

საშინელ ვაებაში ჩავარდნენ საწყალი ადამ და ევა. კაენი შეიქმნა თავისი ძმის მკვლელი და დაწყევლილი ღვთისაგან. გაანება დედ-მამას თავი და შორეულ ადგილას დასახლდა. დარჩა უბედური დედ-მამა უნუგეშოდ. მაშინ ღმერთმა შეიცოდა ისინი და ნუგეშად მისცა მათ მესამე შვილი სეითი, რომელიც იყო ღვთისმოყვარე, სათნო და უწყინარი.

## კაენისა და სეითის შთამომავალნი

(დაბ. 5,8-32)

კაენისა და სეითისაგან მეტად ჩქარა გამრავლდა ხალხი ქვეყანაზედ. ეს სწრაფი გამრავლება მოხდა იმიტომ, რომ მაშინ ადამიანები იყვნენ მეტად დღეგრძელნი. ბევრი მათგანი ცხრაას წელიწადზე მეტს ცოცხლობდა.

სეითის შთამომავალნი იყვნენ სათნონი და კეთილნი. მათ დაერქვა სახელად „ძენი ღვთისანი“ იმიტომ, რომ ღმერთი მუდამ ახსოვდათ, ერთგულად თაყვანსა სცემდნენ მას და ასრულებდნენ მის ნებასა. აგრეთვე დიდი სიყვარული და ხათრი ჰქონდათ ერთმანეთისა და ერიდებოდნენ ყოველ ბოროტ საქმესა. მამები და პაპები თავის შვილებს და შვილიშვილებს ყოველ კეთილს ასწავლიდნენ და კეთილ მაგალითს უჩვენებდნენ. ერთმა მათგანმა, სახელად ენოქმა, ისე აამა უფალსა თავისი წმინდა ცხოვრებით, რომ უფალმა სიკვდილს წაართვა მასზედ ძალა და ზეცაში ცოცხალი აიტაცა.

კაენის შთამომავალნი კი, ცხადია, კაენს დაემსგავსნენ და იყვნენ ბოროტნი. იმათ სრულიად დაივიწყეს ღმერთი, სძულდათ ერთმანეთი, ახსოვდათ მარტო თავისი თავი და ბიწიერებით ცხოვრობდნენ. მათ შორის გავრცელდა შური, სიცრუე, ცილისწამება, გარყვნილება, შფოთი, მკვლელობა და სხვა ბოროტება. ამიტომ იმათ სახელად დაერქვათ „ძენი კაცისანი“.

## ადამიანთა გარყვნა

(დაბ. 6,1-7)

ჯერ სეითის შთამომავალნი ცალკე ცხოვრობდნენ, ერიდებოდნენ კაენის შთამომავლებს და არა ჰქონდათ მათთან მისვლა-მოსვლა, ნაცნობობა ან სხვა რამე კავშირი. მაგრამ შემდგომში, როცა გამრავლდა ნათესავი კაცთა, კაენის და სეითის შთამომავლებმა დაიწყეს ერთმანეთში მეგობრობა, მეზობლობა. მისვლამოსვლა და მოყვრობა. სეითის შთამომავალნი ირთავდნენ ცოლებს კაენის შთამომავალთაგან და მათგან

იქცნდნენ ცუდ ხასიათსა და ბიწიერ ცხოვრებას. მალე სეითის შთამომავალნი სრულიად დაემსგავსნენ კაენის შთამომავლებს და გაირყვნენ სრულიად. ღმერთი აღარავის ახსოვდა, კეთილი სძულდათ, ბოროტი უყვარდათ, სირცხვილი და შიში აღარაფრისა ჰქონდათ. მათ შორის გამოჩნდნენ გმირნი, რომელნიც ყველა სუსტ და უღონო ადამიანებს სჩაგრავდნენ, ტვინსა სწოვდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ. აივსო ქვეყანა ბოროტებითა და ცოდვითა. ყველამ დაჰკარგა ადამიანობის ნიშანწყალი და მთელი კაცობრიობა დაემსგავსა მხეცების გროვას.

### ნ ო ე
**(დაბ. 6,3, 7-8, 13-22; 1-9)**

მთელს მაშინდელ კაცობრიობაში მხოლოდ ერთი კაციღა ერია კეთილმსახური და ღვთისმოყვარე, ეს იყო ნოე, სეითის შთამომავალთაგანი, შვილისშვილის შვილი ენოქისა. როცა ღმერთმა ნახა, რომ მთელი კა-



ცობრიობა გაირყვნა, გადასწყვიტა მისი დაღუპვა წარღვნით, ნოეს გარდა. მაგრამ თავისი ქმნილების ასე სასტიკი დასჯა ეძნელებოდა და ამიტომ უნდოდა ნოეს შუამავლობით მოექცია ისინი კეთილ გზაზე. გამოუცხადა: ას ოცი წელიწადი კიდევ ვუცდი თქვენს მოქცევასო. და თუ ამ ვადის გასვლამდის არ შეინანეთ თქვენი ცოდვანი და არ დაადექით კეთილ გზას, უთუოდ წარღვნით გავწყვეტ თქვენს სახსენებელს დედამიწის ზურგზედაო. მაგრამ ამ ღვთის მუქარას ყურიც არ ათხოვეს, უფრო უარესს სჩადიოდნენ და იქნება ნოეს კიდევაც დასცინოდნენ. მაშინ ნოეს უბრძანა უფალმა: გააკეთე შენთვის დიდი კიდობანი ფისიანი ხისა. სიგრძით სამასი წყრთა, სიგანით ორმოცდაათი წყრთა და სიმაღლით ოცდაათი წყრთა; შედი შიგ მთელი შენი სახლობით, შეიყვანე შიგ თითო წყვილი უწმინდური ცხოველებისა და შვიდ-შვიდი წყვილი წმინდა, რამეთუ მე მოვავლენ წარღვნასა და მოვსწმენდ პირსა ქვეყნისასა ადამიანთა გარყვნილი ტომისაგან. ნოემ შეასრულა ღვთის ნება, გააკეთა კიდობანი, შევიდა თვითონ შიგა, შეიყვანა თავისი ცოლი, სამი თავისი შვილი, თავიანთი ცოლებითა და შესახა ცხოველებიც. ამ დროს ნოე იყო ექვსასი წლისა.

### წ ა რ ღ ვ ნ ა
**(დაბ. 7,7-24; 8,1-22; 9, 11-24)**

გაზაფხული იყო, როცა ნოე მოექცა კიდობანში. დაიხურა თუ არა კიდობნის თავი, იგრიალა საშინელმა წვიმამ და დაეშვა დედამიწაზე, ორმოცი დღედაღამე იდინა შეუწყვეტლივ ნიაღვარმა. ზღვები, ტბები, წყაროები და მდინარეები გადმოვიდა ნაპირებიდან და მთლად წალეკა დედამიწა. წყალი თანდათან მაღლა ადიოდა და ბოლოს დამალა თვით უმაღლესი მთების წვერებიცა... მთელი კაცობრიობა და სულდგმულობა დაიხრჩო წყალში. გადარჩა მარტო ნოე და ყველა მყოფნი კიდობანში, რომელიც მაღლა მოტივტივებული უვნებლად დაცურავდა წყალზე.

გავიდა ხუთი თვე წარღვნის დაწყებიდან. ღმერთმა მოავლინა ქარი, რომელმაც ღრუბლები სრულიად გაფანტ-გამოფანტა. შესწყდა წვიმა და დედამიწიდან წყალმა დაიწყო დენა ზღვებსა და მდინარეებში. წყალმა თანდათან ძირს დაიწია. მალე მთის წვერები გამოჩნდნენ. ნოეს კიდობანი წყალმა მიიტანა სომხეთის მთის არარატის წვერზედ და იქ გააჩერა. ნოემ იგრძნო შიგნით, რომ კიდო-



ბანი დადგა. ამის შემდეგ დაიცადა ორმოცი დღე და გამოუშვა ყორანი: უნდოდა შეეტყო, მოშორდა წყალი მიწას თუ არაო, მაგრამ ყორანი უკან აღარ დაბრუნდა; მეორედ გამოუშვა მტრედი. მტრედმა ბევრი იფრინა, მაგრამ მშრალი ადგილი ვერსად ნახა და დაბრუნდა უკანა. შვიდი დღის შემდეგ ხელმეორედ გაუშვა მტრედი. ახლა კი მტრედი ცარიელი არ მობრუნდა, ნისკარტით მოიტანა ზეთისხილის შტო, ახალი ფოთლებით შემოსილი. კიდევ გავიდა შვიდი დღე და ნოემ მესამედ გამოუშვა მტრედი. მაგრამ ის აღარ დაბრუნდა კიდობანში. მაშინ ნოემ ახადა თავი კიდობანსა, გადმოიხედა პირსა და ნახა, რომ მიწას სრულიად მოშორებოდა წყალი, მაგრამ კიდობნიდან მაინც ჯერ არ გამოვიდა, ღვთის ბრძანებას უცდიდა. როცა დედამიწა სრულიად გაშრა, ღმერთმა უბრძანა ნოეს გამოსულიყო კიდობნიდან და გამოესხა ყველა შიგ მყოფი. სწორედ ერთი წელიწადი დაჰყო ნოემ კიდობანში და გამოვიდა მეორე წლის თავსა. მაშინვე სამადლობელი მსხვერპლი შესწირა ღმერთსა. ღმერთმა კეთილად მიიღო ნოეს მსხვერპლი და აღუთქვა, რომ ამის შემდეგ წარღვნა აღარ იქნებაო. თავისი აღთქმის ასრულების ნიშნად უჩვენა მას ცაში შვიდფეროვანი ცისარტყელა.

# „შთაბერე ყრმასა ძლიერი სული“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნანა ფავლენიშვილი**



გარდაქმნა სკოლასაც შეეხო. ბავშვები პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ნაცვლად ახალი, პრინციპულად განსხვავებული ორგანიზაციის შექმნას ცდილობენ.

როცა თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა ნათელა დამრიგებელს თავიანთი ჩანაფიქრი გაუზიარეს, მასწავლებლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გაირბინა დღეებმა, ბავშვები გულმოდგინედ ემზადებოდნენ,. ღელავდნენ, ფუსფუსებდნენ. მოსაწვევი ბარათი მეც მივიღე. გულახდილად გეტყვით, ერთფეროვანი ტრადიციული ღონისძიების სანახავად მოვემზადე, მაგრამ...

წამყვანმა ანა ბენდელიანმა საყმაწვილო საკრებულო „ყლორტის“ დამფუძნებელი სხდომა გახსნილად გამოაცხადა. „ორგანიზაციის მიზანი, — თქვა მან, — ჩვენი სამშობლოს მოყვარულთა და მასზე დღენიადაგ მზრუნველთა აღზრდაა. მარტო სამშობლოს დათვალიერება, მისი წარმტაცი ბუნებით ტკბობა საკმარისი არ არის, საჭიროა მისი სახელოვანი წარსულის ღრმად შესწავლა, რამეთუ დიდი ილია ბრძანებდა: „აღდგენა ისტორიის ერის გამოცოცხლებაა,



გამომხნევებაა... რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც“.

მართლაც, თუ მშობლიური მხარის ისტორია ძირფესვიანად არ იცი, ჭეშმარიტი მამულიშვილობით ვერ დაიტრაბახებ. ეს კარგად იციან ყლორტელებმა და მონდომებით შესდგომიან საქართველოს ისტორიის შესწავლას. გატაცებით გვიყვებიან დათო ქლენტი, ნინო პატარაია, სოფიკო სუხიტაშვილი, გია ჯვარშეიშვილი, ნინო გუნცაძე, მარიკა შუბლაძე, ლელა ქოიავა, სალომე მთიბელაშვილი და სხვანი ერის ტაძრის სვეტებზე — გმირებზე, რადგან „ერი თავის გმირებში პოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს“. თითქოს ცოცხლდებიან მეფე ფარნავაზი და მირიანი, წმიდა ნინო და გორგასალი, დავით აღმაშენებელი დ სწორუპოვარი თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ილია...

ქართველი ხალხის სულიერ ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქრისტიანულმა რელიგიამ, რომელიც ადამიანების საზრდოდ იქცა. რწმენამ დაღუპვას გადაარჩინა ქართველები და საქართველო... რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ჩვენ ისევ ღმერთს მივმართეთ საშველად. რწმენა სჭირდებათ ახლა ჩვენს პატარებსაც. ამიტომაა, რომ ისინი და სხვა მოსწავლეები კვირაში ერთხელ სულგანაბულნი ისმენენ მამა დავითის საუბრებს რელიგიაზე. მამა დავითი — დავით დათუაშვილი — ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლე, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ამჟამად კი მცხეთისა და წყნეთის ახლად აღდგენილი ეკლესიის მღვდელი, ლექციებს კითხულობს სასულიერო აკადემიაში და, ამავე დროს, სიამოვნებით ასწავლის ნორჩებს ქრისტეს მცნებებს, ქრისტიანობის ისტორიასა და არსს. მამა დავითმა ჩვენი პატარების საკრებულო აკურთხა და ღვთისმშობლის ჯვარი უსახსოვრა.

იაკობ გოგებაშვილი მოსწავლეთა მხატვრულ აღზრდაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიმღერას. მისი აზრით, სიმღერა ამაღლებს და აკეთილშობილებს მოზარდის სულს, უღვივებს ეროვნულ გრძნობას. სწორედ ამ გრძნობით იყო გამსჭვალული მუსიკის მასწავლებლის, ლია გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით ბავშ-

ვების მიერ შესრულებული ქართული სიმღერები „შავლეგო“, „ჩემო კარგო ქვეყანა“ და სხვ.

მეოთხეკლასელებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მათი უპირველესი პატრიოტული მოვალეობა კარგი სწავლაა, რომ ქვეყნის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, როგორნი

საკრებულო „ყლორტი“ მუშაობას შეუდგა.

●

„ლამბადა, ლამბადა!..“





გაიზრდებიან დღევანდელი მოსწავლეები, რამდენად დაეუფლებიან ისინი ცოდნას. ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავის მოვალეობას ისინი პირნათლად ასრულებენ.

ჩვენი წამყვანი უფრო დაწვრილებით გვაცნობს საკრებულოს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და გეგმებს. საკრებულოში გაერთიანებულია კლასის ყველა მოსწავლე. ორგანიზაციას თავისი ემბლემა (ხასხასა მწვანე ყლორტი) და წიგნაკებიც აქვს. თითოეულმა წევრმა უცილობლად უნდა შეასრულოს 4 ძირითადი დებულება:

1. გიყვარდეს მოყვასი შენი;

2. გქონდეს პატიების უნარი;

3. პატივი ეცი შენი აზრისაგან განსხვავებულ აზრს, რამეთუ აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება;

4. „კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე — აბა დღეს მე ვის რა ვარგე“.

ორგანიზაციაში რამდენიმე სექცია მუშაობს. აი ზოგი მათგანი: ხელოვნების, ეთნოგრაფიის, ხუროთმოძღვრების, რელიგიის, ეკოლოგიის...

მოზარდებს თავისი კედლის გაზეთი „რა ლამაზი ხარ, სამშობლო!“ აქვთ. ისინი ხშირად აწყობენ ექსკურსიებს. ამას წინათ საგურამოში იყვნენ. საოცრად კმაყოფილები დარჩნენ, რომ ილიას სამყაროში აღმოჩნდნენ, მაგრამ ეს სიხარული იქვე მაჴლობლად ტყეში გამეფებულმა უსუფთაობამ გაუქარწყლათ. უსიტყვოდ აკრიფეს ვაი-ტურისტების დაყრილი ქაღალდები და იქაურობა მოასუფთავეს. მომავალში პატარები ფიქრობენ რეზინის ხელთათმანებისა და ჯოხების შეძენას, რათა, სადაც ხელი მიუწვდებათ, დაასუფთაონ დანაგვიანებული ადგილები.

მოკლე ხანში გამიზნული აქვთ, საჩუქრებითა და წიგნებით კახის სკოლის მოსწავლეებს ეწვიონ, მოიპატიჟონ სტუმრად და დაიმეგობრონ. მომავალი საქმიანობის კონსულტანტებად ბავშვებმა აირჩიეს თავიანთი თანაკლასელების მშობლები — ისტორიკოსი ირა რაზმაძე და ფილოსოფოსი თეიმურაზ მთიბელაშვილი.

ერთი რამ სწყვეტთ გულს პატარებს: წელს ისინი თავის მასწავლებელს, ნათელა აშუღიშვილს ემშვიდობებიან. ცრემლმორეული უყურებს დამრიგებელი უკვე დაფრთიანებულ ნორჩებს. მოსწავლეები საყვარელ ნათელა მასწავლებელს საკრებულოს საპატიო წევრად ირჩევენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი სიყვარულისა და მეგობრობის სიმი არ გაწყდება. ქალბატონ ნათელას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავის აღსაზრდელებს სამშობლოსადმი დიდი სიყვარული ჩაუნერგა და სწორ გზაზე დააყენა...

დიახ, დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება ძლიერი სულის ადამიანები, ნამდვილი პატრიოტები, რომლებიც ყველა დაბრკოლების გადალახვას შეძლებენ და კეთილი საქმითა და ღონიერი ფესვებით ჩვენს სამშობლოს გააძლიერებენ!

ვისურვოთ, რომ ეს პატარები სწორედ ასეთებად დაგვეზარდონ.



ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული

ზურაბ
ჭარჯველაძე,
პროფესორი

# რა განძი გვქონია



## მწერალი,

ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული ხელნაწერების უმრავლესობა საუცხოო კალიგრაფიით არის შესრულებული. თითოეული ასო გამოყვანილია უდიდესი მონდომებით. აშკარად ჩანს, რომ მწერალი (გადამწერი) მთელ თავის ნიჭს, მოწიწებას, კრძალვას, სიყვარულს აქსოვს საქმეში.

ძველ ხელნაწერებს ხშირად ერთვის ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც დაცულია ცნობები გადამწერთა, მომგებელთა (წიგნის შემკვეთთა), შემმოსელთა (ყდის გამკეთებელთა), აგრეთვე იმ პირთა შესახებ, რომელთაც რაიმე ხელშესახები ღვაწლი მიუძღვით ხელნაწერთა შექმნაში.

864 წელს იერუსალიმში, საბას ლავრაში (მონასტერში), შეიქმნა ქართული მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი **მრავალთავი (მრავალთავს** უწოდებდნენ კრებულს, რომელშიაც შედიოდა წმიდა მამების ქადაგებები, სიტყვები). მოგვიანებით ასეთ კრებულებში შეიტანეს წმიდანების „ცხოვრებანი“ და „მარტვილობანი“ („წამებანი“). ეს ხელნაწერი სინის მთაზე, წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში ინახება. მის ანდერძში ნათქვამია, რომ ამ წიგნის შექმნის ინიციატორი და ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა მაკარი ლეთეთელი. იგი, მეცნიერთა აზრით, ყოფილა დიდი გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. წარმოშობით მაკარი ქართლიდან იყო (სოფელი **ლეთეთი** დღესაც არის ქართლში). მას **მრავალთავის** შექმნაში დახმარებიან პიმენ კახი (**კახი** აშკარად მიუთითებს, რომ პიმენი კახეთის მკვიდრი ყოფილა) და ამონა, რომელიც მაკარის ბიძაშვილი იყო. **ამონას** ხელნაწერის გადაწერაში შეუტანია წვლილი.

ხელნაწერი მაკარის შეუწირავს სინის მთისათვის, რომელზედაც, ბიბლიის მიხედვით, ებრაელთა ერთ-ერთ მამამთავარს, მოსეს გამოეცხადა ღმერთი, ამიტომ სინის მთას წმიდად მიიჩნევდნენ, ხოლო იქ ეკლესია-მონასტრების აგება ყველა ქრისტიანი ხალხის სანუკვარი ოცნება იყო. ქართველებს მეცხრე საუკუნეში სინის მთაზე საკუთარი მონასტერი ჰქონდათ.

897 წელს შატბერდში გადაწერეს ოთხთავი (ანუ სახარება; მას ოთხთავს იმიტომ უწოდებენ, რომ მასში შედის ოთხი ავტორის — მათეს, მარკოზის, ლუკას, იოანეს — აღწერილი ქრისტეს ცხოვრება და მისი მოძღვრება). მისი მომგებელია სოფრონ (ეს ხელნაწერი ამჟამად მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, მას ადიშის ოთხთავს უწოდებენ, რადგანაც იგი ადიშში იპოვეს XIX ს-ის ბოლოს). ხელნაწერის ანდერძში მოიხსენიება მამა გრიგოლ, რომელიც გრიგოლ ხანძთელი უნდა იყოს.

936 წელს შატბერდში გაბრიელ მღვდელს გადაუწერია ოთხთავი. მას დახმარებიან გაბრიელი და გიორგი. გაბრიელ მღვდელი თავს **უცბად მჩხრეკალს** უწოდებს. ხელნაწერი იპოვეს სოფელ ჯრუჭში (იმერეთი), ამიტომ მას ჯრუჭის ოთხთავს უწოდებენ. ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

შატბერდშივე 973 წელს გადაწერა **იოვანე ბერამ** ოთხთავი. თავისი ნაღვაწი მას პარხლის ახალი ეკლესიისათვის შეუწირავს. იოვანე ბერის გადაწერილი ეს ძვირფასი ხელნაწერი ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. იოვანე თავს მწერალს უწოდებს. მასვე გადაუწერია ცნობილი „შატბერდის კრებული“ — ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი.

სინის მთაზე 982 წელს გადაიწერა კრებული „მამათა ცხოვრებანი“. მისი გადამწერი თავს **მჩხრეკალს** უწოდებს: „ქრისტე, შეიწყალე იოანე **მჩხრეკალი**“.

X საუკუნიდან ყალიბდება ანდერძის გარკვეული სქემა. გადამწერი ცდილობს, თავი დაიმდაბლოს. გვეუბნება, რომ ფრიად ცოდვილია, უვიცია, ეგრეთ წოდებული მწერალია და ა. შ. ცხადია, ეს მომდინარეობს სახარებისეული მცნებიდან: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“.

სინის მთაზე დაცული საგალობელთა ერთ-ერთი კრებულის გადამწერი წერს: „ქრისტე, შეიწყალე ტიმოთე მომგებელი და ივანე, **მწარედ ცოდვილი**, მწერალი“.

XI საუკუნეში გადაწერილი კრებულის გადამწერი მოგვმართავს: **„ლოცვა-ყავთ უღირსისა და ფრიად ცოდვილისა უცბად მჩხრეკალისა ბასილისთვის“.**

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა **თთუენა** (საგალობელთა კრებული) გადამწერის ანდერძი: „დაიწერნეს და განსრულდეს ქრონიკონსა სჲთ (-1049 წ.) ხელითა **საწყალობელისა და ყოვლად განწირულისა და უმეტესად ყოველთა ადამიანთა შეცდომილისა მიქაელისათა.**



XII საუკუნის ხელნაწერი

# გადამწერი

წმიდანო ღმრთისანო, გევედრები, დაკლებულისა და ცთომილისათვის შემინდვეთ და კნინისა შრომისათვის ლოცვა-ყავთ. რომელი-რაჲმე ვარჯულ იყოს, კეთილისა და ტკბილისა მოძღურისა მადლითა არს, რომელი დაკლებულ იყოს, ჩემგან არს, უკეთურისა და ყოვლად მცთომისა:“

როგორც ვხედავთ, მიქაელი არა მარტო იმდაბლებს თავს, არამედ განადიდებს საკუთარ მოძღვარს, რომელსაც **კეთილსა და ტკბილს** უწოდებს, მას მიაწერს თავისი ნაშრომის სიკეთეს, ხოლო ნაკლოვანებას თვითონ კისრულობს.

აქვე ვიტყვით, რომ ხელნაწერებმა შემოგვინახეს დიდი ეფთვიმე მთაწმიდლის მრავალი ანდერძი, რომლებიც, ერთი მხრივ, მის უდიდეს ღვაწლს წარმოაჩინებენ, მეორე მხრივ კი თვალნათლივ ლაღადებენ მის უაღრეს თავმდაბლობაზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ეფთვიმეს თარგმნილი დიდი კრებული, რომელიც 1011-1019 წლებში გადაწერილი. ერთ ადგილას ვკითხულობთ:

„ლოცვა-ყავთ **გლახაკისა** ეფთვიმესთვის მთარგმნელისა და შემინდვეთ. მრავალთა ზრუნვათაგან დიდითა შრომითა და ჭირითა დამიწ͡ერია“.

გადამწერებს სავსებით ჰქონდათ გააზრებული, რომ „ნაშრომი ჰგიეს უკუნისამდე“. ამიტომ მათი ერთ-ერთი საზრუნავი იყო კარგი დედნის **(დედაჲ ნუსხაჲ)** მოპოვება. რა თქმა უნდა, მომგებელი (წიგნის დამკვეთი) თვითონაც ზრუნავდა **„უცთომელი“** დედნისათვის, მაგრამ გადამწერი, როგორც ფრიად განსწავლული პიროვნება, თავის მხრივ, ყოველნაირად ცდილობდა, ეშოვნა საუკეთესო ნუსხა.

ქართული ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის (ოპიზის სახარება, დაცულია ათონის ივერთა მონასტერში, გადაწერილია 913 წ.) გადამწერი გრიგოლი თვლის, რომ მას ხელთ ჰქონდა „უცთომელი დედაჲ“.

XI საუკუნის ერთ-ერთი ოთხთავის გადამწერი შავზაქარია აღნიშნავს, რომ მას ტექსტი გადაუწერია ნიკოლაოს მღვდლის ხელნაწერისაგან, ამ უკანასკნელს კი გიორგი მთაწმიდლის დედნით უსარგებლია.

საზოგადოდ, გიორგი მთაწმიდლის ნარედაქციევი ოთხთავი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ეკლესიაში. მას კითხულობდნენ და დღესაც კითხულობენ ლოცვების დროს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია XIII საუკუნის ერთ-ერთი გადამწერის ამგვარი შეფასება გიორგისეული ოთხთავისა:

„ღმერთმან იცის, ამისებრი ოთხთავი ქართლსა არა ძეს და უმართლესი“.

ზოგჯერ გადამწერებს დედანი არ მოსწონდათ. ამას რამდენიმე მიზეზი აპირობებდა. უპირველესად შეიძლება დავასახელოთ დედნის ასონიშანთა წვრილად წერა. ცხადია, ამგვარი დედნის ტექსტის ამოკითხვა ძნელი იყო. 1093 წელს გადაწერილი ერთი ძეგლის გადამწერი ათანასე ამბობს:

„დაიწერა ქრონიკონსა ტიგ (-1093 წ.) დიდებულსა ლავრასა შინა ოპიზას. დედაჲ გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისაგან დაწერილი მქონდა, მაგრამ ეგზომ წურილად ნაწერი იყო. რომელ კაცისა თმასა ჰგვანდა, და მე კაცი ვიყავ მომდღევნებული“.

ზოგჯერ დედანი **მრუდი** იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ტექსტი რაღაც თვალსაზრისით (იდეოლოგიური...) უკვე ველარ აკმაყოფილებდა მკითხველს, ან მასში სხვადასხვა ხასიათის შეცდომები გვხვდებოდა.

„წმიდათა ცხოვრების“ ერთ-ერთი ნუსხის (XI ს., ინახება იერუსალიმში, ბერძნული საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში) გადამწერი აღნიშნავს, რომ მან არ შეიტანა წიგნში „ათანასეს ცხოვრების“ ტექსტი, რადგანაც **დედანი მრუდი იყო**, მართალი დედანი კი ვერ მოიძია: „ესე წმიდისა ათანასეს ცხოვრებაჲ მით არღარა დავწერეთ, რომელ დედაჲ მრუდი იყო და სხუაჲ მართალი არა გუქონდა“.

ერთი გადამწერი გულისტკივილით გვამცნობს, რომ მას სხვადასხვა დედნის გამოყენება მოუხდა, რადგანაც ერთიანი დედანი არ გააჩნდა.

თუ დედანი **დაჩრდილებული** (დაზიანებული, ძნელად წასაკითხავი) იყო, გადაწერა ძნელდებოდა.

ამრიგად, ფასეული ძეგლის შესაქმნელად კარგი დედანი და კარგი, მცოდნე გადამწერი იყო აუცილებელი.



1709 წელს გამოცემული ოთხთავის სატიტულო ფურცელი



XI საუკუნის ხელნაწერი

# უმორჩილესად მაპატიეთ



შერლი
ჯექსონი

მხატვარი
თინა კრაწაშვილი

მოთხრობა

ამბობენ, როცა პატარა გოგონები სკოლაში შეჰყავთ, კაბებს იცვამენ, თმებს იწნავენ და ზედ ბაფთებს იკოსებენ ხოლმეო.

თქვენც ასე ფიქრობთ, არა? ჰოდა ცდებით. მაგალითად, ჩემმა ქალიშვილმა ჯენიმ გამომიცხადა, რომ შორტს ჩაიცვამს და თავზე უფროსი ძმის, ლორის ბეისბოლის ძველ ქუდს დაიხურავს.

იმ ღირსშესანიშნავ დღეს გაღვიძებისთანავე თავი მოვიწესრიგე. რაც უნდა იყოს, ქალიშვილი სკოლაში მიმყავს, იქ კი მასწავლებლები და მშობლები არიან... მაგრამ საუზმეზე ჯენიმ მაუწყა:

— რახან მაინცდამაინც უნდა წავიდე სკოლაში, მარტო გამიშვი.

ხუთწლიანი გამოცდილებით ვიცოდი, რომ შედავებით ვერაფერს გავხდებოდი. მორჩილად წავყარე ფეხსაცმელები მაგიდის ქვეშ.

— შეიძლება, პარმაღიდან მაინც დაგიქნიო ხელი?

ჯენი ჩაფიქრდა.

— ოღონდ არ იტირო!

— გამოდის, რომ მე უნდა წავიყვანო სკოლაში! — აღშფოთდა უცებ ლორი. — რით, ავტობუსით? — ლორი სკოლის ავტობუსს თავის პირად საკუთრებად თვლიდა.

— კი, მაგრამ ესეც ხომ უნდა წავიდეს?! და, საერთოდაც, ბავშვებმა სკოლაში უნდა იაროთ! სხვაგვარად ვერ გაიზრდებით.

ლორიმ ეჭვიანად გადახედა დას და ჩაიცინა.

ჯენიმ კი თქვა: — ავტობუსში მე ლორისაგან, რაც შეიძლება, შორს დავჯდები. ვერ ვიტან უზრდელ ბიჭებს.

— რაო, გინდა, ხელჩაკიდებული წავიყვანო?! — მომიბრუნდა ისევ ლორი.

— ეგლა მაკლია! გმადლობ, თვითონაც წავალ, თუკი მოვინდომებ...

ნეტავ კი სახლში არ დარჩებოდეს... მაგრამ ჯენი ტრიუმფატორივით ავიდა ავტობუსში, თუმცა მის კვალში ჩამდგარი ლორი ყველანაირად ცდილობდა, ხაზი გაესვა, რომ ისინი მხოლოდ გაჩერებიდან დაემგზავრნენ და დღემდე არ იცნობდნენ ერთიმეორეს.

ლორი სამ საათზე დაბრუნდა და მიამბო, რომ გაკვეთილების შემდეგ ჯენი ვერსად იპოვნა, თუმცა ავტობუსის გაჩერებაზეც დიდხანს იყურყუტა და თავისი ძმური გრძნობების გამჟღავნებასაც არ მოერიდა — სკოლის წვრილფეხობაში დაწვრილებით გამოიკითხა დის ასავალ-დასავალი.

ოთხ საათზე უკვე სახლიდან სკოლამდე დავწრიალებდი უშედეგოდ. ბოლოს დავინახე ჯენიც — ვითომც არაფერიაო, მოსკინკილაობდა გზისპირზე და მოიმღეროდა. მანქანა ზედ ცხვირწინ დავუმუხრუჭე და განრისხებული გადმოვედი. ჩემი ქალიშვილი კი უშფოთველად ჩამეჭიდა ხელით მაჯაში და მითხრა:

— იცი, მე ალბათ ვივლი სკოლაში.

— აქამდე სად იყავი?

— მასწავლებელს თითქმის სახლამდე მივყევი. მინდოდა მცოდნოდა, სად ცხოვრობს.

გავიდა ორი კვირა. ერთხელ, სადილობისას, ჯენიმ განაცხადა:

— მისის ტონჩერი ამბობს, რომ ქაღალდის ხელსახოცები ვულგარულია!

მისის ტონჩერი პირველ კლასს ასწავლიდა. ბოლო ხანებში ჩვენ უკვე შევეჩვიეთ მის შეუვალსა და მკაცრ კრიტიკულ შეხედულებებს.

ჯენიმ მზერა ძმაზე გადაიტანა.

— კიდევ... მისის ტონჩერი ამბობს, რომ პატარა ბიჭებს ლოკოკინისაგან აკეთებენ.

— ვინ არის პატარა?! — გაბრაზდა ლორი. — მე თუ მკითხავ...

— უმორჩილესად მაპატიეთ! — შეაწყვეტინა ჯენიმ („უმორჩილესად მაპატიეთ“ ტიპური ტონჩერიზმია). — უმორჩილესად მაპატიეთ, მაგრამ მისის ტონჩერი ამბობს, ყველა ბიჭი, პატარაცა და დიდიც, ლოკოკინისგან არის გაკეთებული. აი, შენსავით პატარა გოგონები კი — ტკბილეულისა და კანფეტებისაგანო.

— კი, მაგრამ... რით არის ვულგარული ქაღალდის ხელსახოცები? — ვიკითხე მე.

— მისის ტონჩერი ქაღალდის ხელსახოცით ხელის გაწმენდას არავის უკრძალავს, — მოთმინებით განგვიმარტა ჯენიმ. — თუ გსურთ, გაიწმინდეთ, უბრალოდ, ეს ვულგარულია, მორჩა და გათავდა.

— სამაგიეროდ, ზოგიერთებს, — ლორიმ თეფშში ჩარგო თავი. — ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ამქვეყნად ყველაფერი იციან.

— სხვათა შორის, საჭმელზე წყლის დაყოლებაც ვულგარულია, — წაისისინა ჯენიმ.

ამგვარად, სწავლის პირველი დღეებიდანვე, ჯენიმ მანქანაზე გადაბეჭდილი „სამახსოვრო“ რომ მოგვიტანა, ყველანი მისის ტონჩერის განკარგულებაში აღმოვჩნდით. მე, მაგალითად, შევიტყვე, რომ ყოფაქცევის წესები პირველკლასელებს უკრძალავს ჭუჭყიანი ფრჩხილებით, აწეწილი თმითა და მძაფრსუნიანი საუზმეულით სკოლაში მისვლას; რომ გოგონებს ნებადართული აქვთ, ატარონ მხოლოდ ბლუზები და ქვედაკაბები („მისის ტონჩერი ამბობს, რომ შარვლიანი გოგონა ვულგარულია“), რომ თმები აუცილებლად

უნდა დაიწნა და ან შეიკრიჰო, წინდა ზედმიწევნით კაბის შესაფერისი შეირჩიო და— არავითარი თმის სამაგრები!..

— იქნებ ხელოვნური კბილიც უნდა ჩაისვა, შენ ხომ პირში უზარმაზარი ღრმული გაქვს! — აღვშფოთდი მე. ჯენი კი მოთმინებით იღიმებოდა.

სამკაულები არ უნდა ატარო — ვულგარულია! გინდა გაკვეთილების შემდეგ ვინმეს მონახულება? ან, იქნებ, ცხვირში ოდნავ სრუტუნებ (გადაჭარბებული სრუტუნი გასაკიცხია), ან ბუფეტიდან რძის სასაუზმო პაკეტის მიღება დაგჭირდა? მაშინ, კეთილი ინებე, და მშობლისგან ბარათი მოიტანე. მით უფრო, თუ გაბედე, ფეხსაცმლის აგლეჯილი ლანჩები ატყლაშუნო, დაფასთან გამოძახებულმა მოკარნახის ხმა დაიჭირო და ან სიმღერის გაკვეთილზე იცელქო, ამ შემთხვევაში მშობლებს ემუქრება... მისის ტონჩერის ბარათი. სამაგიეროდ, სხვაფრივ ვერცერთი მშობელი ვერცერთ სიტუაციაში — ქვეყანაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების ჩათვლით — ვერ გაბედავს სკოლაში გამოჩენას, ამისათვის დაწესებულია მხოლოდ მშობლის დღე. მისის ტონჩერი მასაც სიამოვნებით გააუქმებდა, მაგრამ ამჯერად იძულებული გახდა, დაეთმო სკოლის ხელმძღვანელობისათვის.

ასევე, სკოლის კედლებში სასურველი არ იყო საოჯახო საქმეების განხილვა.

მამამ „სამახსოვრო" უკვე მესამედ გადაიკითხა და თავი ისე უგუგუნებდა, როგორც აპოპლექსიური დარტყმის წინ. ჯენიმ კი განუცხადა:

— მისის ტონჩერი ამბობს, რომ მოწევა ვულგარულია, განსაკუთრებით — სიგარის მოწევა.

თანდათან გამოვარკვიეთ, რომ ასევე, ძალზე ვულგარულია ხმის აწევა. რესტორანში სიარული და ბანქოს თამაში. ახლა ჯენი თავად ირეცხავდა წინდებს, საღამოობით შხაპს იღებდა და თავსაც კვირაში ერთხელ დამოუკიდებლად (არცთუ წარმატებით) იბანდა. ჩვენ კი ამ დროს მისის ტონჩერის მითითებათა მიუხედავად, ბანქოს თამაშით ვერთობოდით.

— გოგონა, რომელიც არ ზრუნავს საკუთარი სხეულის სისუფთავეზე, არაქალურია! — მათვითცნობიერებდა ჩემი ქალიშვილი.

— ლაპარაკი სხეულის სისუფთავეზე ვულგარულია, — ვგესლავდი მე.

— მაგრამ... სისუფთავე ქალურია!

— უმორჩილესად მაპატიეთ!

— პატიება გებოძათ.

●

— აღარ შემიძლია მეტის ატანა, — შევჩივლე მეუღლეს ერთ საღამოს. ჯენიმ, ის იყო, გამაფინა თავისი სუფთა კაბა და წინდები, დაიჭრა და გაიპრიალა ფრჩხილები და დასაძინებლად გავიდა...—ეს, უბრალოდ, ვულგარულია... თფუ... აუტანელია!

— მაინტერესებს, რატომ ითვლება ჯიბეში ხელის ჩაყოფა ვულგარულად! — თავის „წიგნების სიახლეებს" მოსწყდა და გულდამძიმებული შემომიბრუნდა ჩემი მეუღლე. — კი მაგრამ, კაცს საფულის ან ცხვირსახოცის ამოღება ხომ მაინც გჭირდება, ან ბოლოს და ბოლოს, სიგარისა!

— მოწევა ხომ მაინც ვულგარულია, — დავამშვიდე მე.

— კატები სურდოს აჩენენ! — გვაუწყა მეორე დღეს ჯენიმ და სახლში შემოსვლისთანავე ისეთი სიფრთხილით აუარა გვერდი საბრალო შაქს, რომ იმან გაოცებით ასწია თავი და სახეში შეაჩერდა. — დიახ. კატები — სურდოს, ძაღლები კი — სირსველს აჩენენ.

— მომისმინეთ, ქალიშვილო! — ველარ შევიკავე თავი. — დაუყოვნებლივ მოუბოდიშეთ შაქსს! თქვენ სურდო არ შეგყრიათ დაბადებიდან.

— უმორჩილესად მაპატიეთ, მაგრამ მისის ტონჩერი ამბობს, რომ სწორედ კატისაგან შეიძლება სურდო შეგეყაროს.

— სისულელეა!

— ჩხუბი კი ვულგარულია!

ამ დღეს სადილიც შფოთიანად წარიმართა. ლორი ველური გააფთრებით წამოგვიხტა მაგიდიდან:

— კი მაგრამ, მე რატომღა უნდა ვიყო ქალური?!

სადილზე ჯენიმ უარი თქვა ცერცვსა („კუჭს ანაგვიანებს") და ყავაზე („ჯანმრთელობისთვის მავნეა"), არ ისურვა, აგრეთვე, მაგიდის ალაგებაც („ვულგარულია") და, სანამ მე ლორის სადილს გავუტანდი მის ოთახში, მამას გამოუცხადა, საერთოდ, დროა, მზარეული დავიქირაოთო.

— კი მაგრამ, რა სახსრით? — დაინტერესდა მამა.



— ფულზე ლაპარაკი ვულგარულია! — მოიგერია ჯენიმ.

●

მშობლის დღემ რომ მოაღწია, მე და ჩემმა მეუღლემ კენჭი ვყარეთ, რომელი ჩავბმულიყავით ორთაბრძოლაში მისის ტონჩერთან. რაღა თქმა უნდა, მონეტა საიდუმლოდ ავაგდეთ. რას იზამ, ფული ვულგარულია, შეკამათება — არაქალური, ხმამაღლა აღშფოთება კი სხვა რომ არაფერი, ჯანმრთელობას ვნებს. მეუღლემ წააგო, მაგრამ მე შევფიცე, რომ მისის ტონჩერთან მისი ვიზიტის დროს კარს უკან ვიდგებოდი და საშიშროების მოახლოებისთანავე მივეშველებოდი.

იმ დილას ჯენიმ საკმაოდ კრიტიკულად აათვალიერ-ჩაათვალიერა მამამისი თავით ფეხებამდე.

— აკი მილიონჯერ გითხარი, ჯიბეში ხელების ჩაწყობა ვულგარულია-მეთქი! მართალია, შენც ლოკოკინებისგან ხარ გაკეთებული, მაგრამ...

ჩემი მეუღლე სულ მთლად წახდა:

— მაშინ... ჰალსტუხი შემისწორე...

— განა ჰალსტუხშია საქმე? — ოხვრას გული ამოაყოლა ჩვენმა ქალიშვილმა. — რა იქნებოდა, ვითომ, რომ გაგეცდინათ ეს მშობლის დღე?.. ახლა თქვენს ლოდინში გული უნდა გადამელიოს..

კართან მიმდგარმა მოვასწარი დამენახა სურათები ჰიგიენის თემაზე და ფანჯრის რაფაზე ჩამომწკრივებული, ერთნაირად უღიმღამო ნემსიწვერები. მისის ტონჩერი ხმამაღლა არ ლაპარაკობდა, მაგრამ გასაგებად და მკაფიოდ წარმოთქმული მისი სიტყვები დერეფნამდეც კი აღწევდა და ამ სიტყვებში, სამწუხაროდ, ვულგარული არც ერთი არ იყო.

— თქვენი პატარა ჯოანა, უბრალოდ, შესანიშნავია, ისეთი ფაქიზი გოგონაა. ხვდებით ალბათ, ყველა კლასში გვყავს განსხვავებული ოჯახების შვილები,—აქ მან ხმას ოდნავ დაუწია. — ბავშვები უხეშები არიან, უსუფთაოებიც კი.

— ალბათ, ვულგარულები, — შეაწია ჩემმა მეუღლემ.

— სავსებით გეთანხმებით, — მისის ტონჩერი გაახარა ასეთმა ურთიერთგაგებამ. — სწორედაც რომ, ვულგარულები არიან. ეს ზუსტად ის სიტყვაა, რომლის თქმაც ვერ გავბედე... პატარა ჯოანა... — ხმაში შეეტყო, გული აუჩუყდა.

— როგორი არიან თქვენი ბავშვები? — ჰკითხა ჩემმა მეუღლემ.

— ო, მათ შორის ბევრია შესანიშნავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთმანეთისაგან განსხვავებული...

— არა, მე მაინტერესებს, როგორი არიან პირადად თქვენი შვილები, — დაუზუსტა ჩემმა მეუღლემ. — ისინი, რომლებიც თქვენ... თქვენ... ჰმ... შობეთ.

— სამწუხაროდ, არ გვხვდა წილად ესოდენ დიდი ბედნიერება.

— კი მაგრამ, ეს ხომ არაქალურია... — შენიშნა ჩემმა მეუღლემ, — ქალისათვის...

— მართალი ბრძანდებით, — ამოიოხრა მისის ტონჩერმა, — იცით, მე ხშირად ვკარგავ გრძნობას, სუსტი ორგანიზმი მაქვს და... საერთოდაც, ჩემი საწუხარი თქვენთვის ალბათ საინტერესო არ იქნება. ჩვენ თქვენს ჯოანაზე ვლაპარაკობდით; მომხიბვლელი გოგონაა.

— მე მაინც ვფიქრობ, — დაუნდობლად განაგრძო ჩემმა მეუღლემ, — კიდეც რომ გხვდომოდათ წილად ეს მომხიბლავი ბედნიერება, ალბათ თქვენი შვილები სურდოს ვერ ასცდებოდნენ კატების გამო...

— რა ბრძანეთ?!

— უმორჩილესად მაპატიეთ, ეს მიბრძანეთ, ერევა ჯენი სასკოლო პროგრამას?

— იგი უაღრესად ფაქიზია, იცით, ჩემს პრაქტიკაში არც ერთ ბავშვს არ უზრუნვია ფრჩხილებზე ასე გულმოდგინედ, ამასთან, მას აქვს შესანიშნავი წარმოსახვა და თანდაყოლილი ზრდილობიანობა. სამწუხაროდ, ხმა...

— როგორია მართლწერაში? არითმეტიკაში?

— უმორჩილესად მაპატიეთ, მაგრამ...

— პატიება გებოძათ, — შეიწყნარა ჩემმა მეუღლემ.

აქ კი სრულიად გულდამშვიდებული მოვცილდი კარს. ჯენი მანქანაში გველოდა. იგი მოუსვენრად ცქმუტავდა, მე სიგარეტს ვეწეოდი. ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა ჩემი მეუღლეც, მოდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და უსტვენდა.

— როგორაა საქმეები? — ვკითხე, მანქანაში დაჯდა თუ არა. მეუღლემ ჰალსტუხი მოიხსნა და სარკეზე გადაკიდა, მერე პირში სიგარა გაიჩარა და მოგვიბრუნდა.

— ცნობისმოყვარეობა ხომ არაქალურია? — თქვა და გულიანად გაგვიცინა.



თარგმნა ნინო ხარაზიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# „კრიდენს კლიერუოტერ რივაივლ“

მიჩნეულია, რომ სწორედ ეს ამერიკული ჯგუფია ქანთრი-როკის შემქმნელი და ფუძემდებელი, ხოლო მისი ხელმძღვანელი ჯონ ფოგერტი, კომპოზიტორი, პოეტი, ვოკალისტი და გიტარისტი, 60-იანი წლების დამდეგს უფრო პოპულარული იყო, ვიდრე „ბითლზის“ ნებისმიერი წევრი.

ჯგუფი 1967 წელს შეიქმნა და თავდაპირველად მასში შედიოდნენ ჯონ ფოგერტი (გიტარა, ვოკალი, გარმონიკა, საქსოფონი, კლავიშიანი საკრავები), ტომ ფოგერტი (გიტარა), სტიუ კუკი (ბასი), დუგ კლიფორდი (დასარტყამი საკრავები).

ჯგუფის დებიუტი 1959 წელს შედგა (მაშინ მას „ბლიუ ველვეტსი“ ერქვა), 1968 წელს კი გამოვიდა მისი პირველი ფირფიტა, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ერთი წლის შემდეგ „კ. კ. რ.“-მ ვუდსტოკის ტრადაციულ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა და ფართო აღიარებაც მოიპოვა. შემოქმედებით მწვერვალს კი ოთხეულმა 1970 წელს მიაღწია, როცა ჩაწერა ალბომი „პატარა ქარხანა „კოსმო“. ეს იყო „კ. კ. რ.“-ს მეოთხე „პლატინის“ ფირფიტა.

1971 წლის იანვარში ჯგუფიდან წავიდა ჯ. ფოგერტი და დარჩენილმა სამმა მუსიკოსმა ევროპაში იმოგზაურა კონცერტებით; ამ საგასტროლო ტურნეს შემდეგ გამოვიდა ფირფიტა „კონცერტი ევროპაში“. 1972 წლის ოქტომბერში ჯგუფი საბოლოოდ დაიშალა. ჯ. ფოგერტიმ გამოუშვა რამდენიმე სოლო ფირფიტა, მუშაობდა ჯგუფ „გრეიტფულ დედთან“, კლიფორდი და კუკი ერთი ხანობა დონ ჰარისონის ჯგუფის შემადგენლობაში უკრავდნენ.

„კრიდენს კლიერუოტერ რივაივლის“ დაშლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო მისი დაძაბული ურთიერთობა გრამჩამწერ ფირმა „ფენტეზი რეკორდსთან“. სწორედ ამ ფირმამ დაუდო ჯგუფის დამწყებ, გამოუცდელ მუსიკოსებს ხელშეკრულება, რომლის პირობების გამო ამერიკის პრესამ ჯგუფის წევრებს „როკ-მუსიკის ინდუსტრიული მონები უწოდა“. საქმე ისაა, რომ ფირმის გაქნილმა ხელმძღვანელობამ ისეთ მახეში გააბა მუსიკოსები, რომ ავტორები და შემსრულებლები გაცილებით ნაკლებ გასამრჯელოს იღებდნენ, ვიდრე გრამჩამწერი ფირმის მომსახურე პერსონალი. ცბიერმა ფირმის პრეზიდენტმა სოულ ზენცმა ისარგებლა ახალგაზრდების გულუბრყვილობით და ისეთი კონტრაქტი დაუდო, რომ ისინი მომავალშიც უარს ამბობდნენ თავიანთ საავტორო უფლებებზე ფირმის სასარგებლოდ და ვალდებულებას იღებდნენ, არავითარი ფინანსური პრეტენზია არ წაეყენებინათ მისთვის. დამწყებ მუსიკოსებს ფული მაშინ ნაკლებად აინტერესებდათ, მათ დიდ პატივად მიიჩნიეს ის ამბავი, რომ „ნამდვილმა ფირმამ ნამდვილი კონტრაქტი დაუდო“ და სამუდამო კატორღაში კი აღმოჩნდნენ.

„კრიდენსი“ წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. ალბომი „ჭაობიანი ქვეყანა“ ამერიკული ბესტსელერი გახდა, ხოლო სიმღერამ „ამაყი მერი“ ამერიკისა და ინგლისის ჰით-პარადების მწვერვალები დაიპყრო. ახალი ჯგუფის დინამიური, ცოცხალი, ქანთრის აქცენტგარეული მუსიკა ევროპაშიც საყოველთაო მოწონებით სარგებლობდა. სამწუხაროდ, წარმატებას მოგება მხოლოდ ზენცისთვის მოჰქონდა, „კრიდენსის“ წევრები კი ვალებიდან ვერ ამოდიოდნენ. როგორც იქნა, მუსიკოსები გონს მოეგნენ, ფოგერტიმ პროტესტიც კი განაცხადა, მაგრამ ფირმამ მის მიერვე მოწერილი კონტრაქტი აუფრიალა ცხვირწინ. ერთადერთი გამოსავალი კონტრაქტის დარღვევა იყო... და ჯგუფიც დაიშალა. „კრიდენს კლიერუოტერ რივაივლი“ აღარ არსებობს, მისი ფირფიტები კი მრავალგზის გამოიცა და, და ალბათ კვლავაც გამოიცემა, იმიტომ, რომ ჯგუფის შემოქმედებას დღესაც მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს.

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

### მაშ, გაუმარჯოს საქართველოს თავისუფლებას!

მიწა გუგუნებს...
საფლავებიდან წინაპართა გვიხმობს
ძახილი:
მამულისათვის, ქართვლის შვილნო,
ჩვენს მოღალატეს და მოშურნეს
გულში — მახვილი!
თავისუფლების მზე ამოდის
ცის კაბადონზე
და თავის სხივებს კავკასიონს
აფენს ლექსებად,
მაშ, გაუმარჯოს საქართველოს
თავისუფლებას,
მის ძლიერებას, ოდითგანვე
გადგმულს ფესვებად!

ჟანა შუკაკიძე,
საჩხერე, საირმის საშუალო
სკოლა, X კლასი.

### წუთით დაბრუნებული სიცოცხლე

ცას მოლურჯო-მონაცრისფრო დაჰკრავდა... ცისკიდური ჩიტებს დაესერათ, გაშიშვლებულ ტოტებს შუა იჭყიტებოდა ცხრათვალა მზე და მისი სხივები ოქროსფერ ზოლებად გასდევდა მინდორს.

— გოგონა! — მომესმა ძახილი. მომეჩვენა-მეთქი, გავიფიქრე და ყურადღება აღარ მივაქციე.

— გოგონა! — ისევ მომესმა. მოვიხედე; ვერავინ დავინახე. უცებ ჩემი კაბის კალთაზე პაწაწინა ვარდისფერი წვეთები შევნიშნე. საიდან ჩამოიპნა-მეთქი, გაოცებულმა ზევით ავიხედე.

ის კი სულ პაწაწინა იყო, თეთრი, ბამბის ქულასავით ქათქათა... მიღიმოდა... სევდიანად მიღიმოდა და რატომღაც მომეჩვენა, რომ გაზაფხულმა შემოიხედა ბუნების საუფლოში. გაზაფხული გამახსენდა...

ძალიან მომინდა მასთან გამოლაპარაკება.

ამ დროს ხის ტოტზე ბეღურა დაფრინდა და სიამოვნებით შევნიშნე, რომ ისიც გაოცებული დააცქერდა მას — თეთრ ყვავილს, ხის ტოტს ერთადერთი რომ შერჩენოდა.

— ასე გვიან საიდან სადაო? — ჩავეკითხე ყვავილს.

— ქვეყანა მომენატრა, გოგონა, მზე მომენატრა, ჩიტები.

— არ გეშინია შემოდგომისა?

— მე მზე დამიცავს, ის ჩიტუნა დამიცავს, წეღან ჩემს გვერდით რომ დასკუპდა, ამ ხის ტოტები დამიცავენ...

— ქარმა რომ დაუბეროს?

— ნიავი არ გამწირავს, მარტო არ დამტოვებს...

უცებ აცივდა. ცა მოიქუფრა და წვიმის გამჭვირვალე წვეთები დაეშვნენ დედამიწაზე. მზეს ღრუბელი გადაეფარა, მძლავრად დაჰბერა ქარმა. მე კი ისევ ხის ძირას ვიდექი და შევსცქეროდი მას, ათრთოლებულს, აკანკალებულს... ვიცოდი, ვერ ვუშველიდი.

მერე... წამით გაიელვა... და ყვალაფერი ერთმანეთში აირია.

— მშვიდობით! — ესლა შეხძახა ყვავილმა.

თეთრი კაბა შორს მიჰქონდა ქარს... მიჰქონდა და მიჰკიოდა თვითონ, თითქოს უხაროდა, ამ პაწია ყვავილს რომ მოერია! ბოროტ სულებად მომეჩვენენ იმ წუთას ქარიც, ჩიტიც, ხეც... იმიტომ, რომ მათ ვერ შესძლეს დაეცვათ მარტოოდენ მათ იმედად მყოფი სუსტი არსება! დიახ, წუთით დაბრუნდა სიცოცხლე, მხოლოდ წუთით.

გამოვფხიზლდი, დაწყნარებულიყო ქარი. გარინდულიყო იდუმალებით ბუნება. დასრულებულიყო შემოდგომის წვრილი წვიმა — ჩუმი, შემპარავი, შემაწუხებელი... მე კი ჩამოწოლილ ტყვიისფერ ცაზე ისევ თეთრი პაწია ყვავილი მეხატებოდა...

ლარისა ვეკუა,
ჩხოროწყუ, ლესიჭინეს მე-2
საშუალო სკოლა, X კლასი.

### თილისმასავით...

ამიჩუყდება გული —
როგორ დაგვცინა ბედმა!
ღამის სიშავე, კრული,
ფრთებით დაბერტყა გედმა.
დავრჩით უდაბურ ტყეში,
მარტო, ვით შიში ზამთრის,
მხოლოდ — ლექსების თქეში
და სიმწუხარე ავდრის.
სტეპებს, დაფარულს თოვლით

ჩემი სოფელი. ფერიდე შონია.
წალენჯიხა, ჭალე, VIII კლ.



სინაზეს მატებს ათად
მიმტევებელი ყოვლის —
სასუფეველი ცათა.
და ნაზარეთის ზეცას
თილისმასავით ეკვრის
ხალხისთვის ჯვარს რომ ეცვა, —
მისი გვირგვინი ეკლის.

### ღამე და გაზაფხული

აქ მთვარის ნაფლეთი გდია,
ღამე ახამხამებს თვალებს.
— გიყვართ გაზაფხული?
— დიახ! —
ვპასუხობ ოცნების ქარებს.

ქარს ღრუბლის ნაფლეთი მიაქვს,
წუხილი თეთრ ბაფთას იქნევს.
— გიყვართ პოეზია?
— დიახ!
ვპასუხობ გალუმპულ ფიქრებს.

ირგვლივ მოლოდინი მეფობს
და კითხვას ებმება კითხვა.
აყრუებს ტერასებს ექო
ძველისძველ გალუმპულ ფიქრთა.

### ჩემი მეგობარი მაია

ამხანაგი შეიძლება ბევრი გყავდეს, მაგრამ გულითადი მეგობრის შეძენას ყველა ვერ ახერხებს. მეგობარი ხომ ის ადამიანია, ვინც მუდამ მხარში უნდა გედგას, შენი ჭირი და ლხინი გულწრფელად გაიზიაროს, თავისი მიზანი და მისწრაფება შენს მიზანსა და მისწრაფებას შეუზიაროს. მე მყავს ასეთი მეგობარი — მაია ჭუჭულაშვილი.

ამ ერთი წლის წინათ ვერც კი ვიფიქრებდი, თუკი ასე დავუახლოვდებოდი. შორიდან ვიცნობდი, როგორც ფრიადოსან მოსწავლეს და მამაჩემის ყოფილი თანაკურსელის შვილს.

მაგრამ გავიდა მცირე ხანი და ჩვენი სამშობლოს ავბედითობამ დაგვაკავშირა. საათობით ვსაუბრობთ ხოლმე ეროვნულ საკითხზე, ოპტიმისტურად ვუცქერით მომავალს და ვოცნებობთ დღეზე, როცა თავისუფალი საქართველოს მოქალაქენი გავხდებით; მე და მაია ერთად დავდივართ მოსწავლე ახალგაზრდობის რაიონულ სახლში მოქმედ ნორჩ მოგზაურთა კლუბ „ბერმუხაში". მაია ჩემზე ორი წლით უმცროსია, მაგრამ მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, მეგობრობამ ასაკი არ იცისო. ჩვენს შორის ახლა არაფერია დაფარული, მე მას საკუთარ დაში არ ვარჩევ და მჯერა, რომ ჩვენი დობის მაგარი ხიდი არასოდეს ჩატყდება.

ირმა ჩიღლაშვილი,
წითელწყარო, პირველი საშუალო სკოლა, X კლასი.



ნატურმორტი. ელისო აკობია,
წალენჯიხა, ქალე, VI კლ.

### ჩემი საყვარელი გაკვეთილი

(ჩემს მათემატიკის მასწავლებელს)

ჯერ სკოლის სახურავი გამოჩნდება ხოლმე, სულ ბოლოს — ცისფრად შეღებილი მძიმე ჭიშკარი. კიბეს ავუყვები, კარს შევაღებ, მეგობრებს მივესალმები. კლასში ტრადიციული ჟრიამულია, ვინ გაკვეთილს იმეორებს, ვინ—ცუღლუტობს. მეც მივუჯდები მერხს და გაკვეთილისათვის ვემზადები. მოუთმენლად ველოდები მათემატიკის გაკვეთილის დაწყებას. აი, ზარიც... იწყება ჩემი საყვარელი გაკვეთილი!

მერი მასწავლებელი კლასს შემოსვლისთანავე მოათვალიერებს ხოლმე, ყველას ფართოდ გაგვიღიმებს და დასხედითო, გვანიშნებს. მერე თვითონაც დაჯდება და გადაშლის ჟურნალს. სიას კითხულობს.

აი... ისევ იღიმება. ეტყობა, კმაყოფილი დარჩა ჩვენით. მეტ-ნაკლებად ყველამ კარგად შევასრულეთ საშინაო დავალებები. გამოკითხვამაც კარგა ხანს გასტანა და დაიწყო ახალი მასალის ახსნა... საოცრად თბილად იცის ხოლმე გაკვეთილის ახსნა მერი მასწავლებელმა. ისეთი ალერსიანი უხდება ხმა, მთელი სიცოცხლე სიამოვნებით მოუსმენ. ცოტა ხნის შემდეგ, ახსნას რომ მოამთავრებს, იკითხავს, აბა თუ არის ვინმე, ვინც რაიმე ვერ გაიგოო?! მაგრამ ასეთი რამ ჩვენს კლასში იშვიათად ხდება. მერი მასწავლებელი საშინაო დავალებას გვაძლევს და, ზარი ჩამოჰკრავს თუ არა, ჩვენგან მიდის. მე კი... დერეფანშიც გავყვები ხოლმე ჩემს საყვარელ მასწავლებელს და დიდხანს, დიდხანს არ მემეტება იგი თვალთახედვიდან დასაკარგავად!

ქეთევან კაკუნაშვილი,
გურჯაანი, მაზარაძის საშუალო სკოლა, IX კლასი.

# ეკოლოგია და ფუტკარი

გურამ თაქთაქიშვილი

ეკოლოგიური სიტუაციის დღევანდელი საგანგაშო მდგომარეობა წლების განმავლობაში ადამიანების არასწორი ცხოვრებისა და მოქმედების სავალალო შედეგია. დაბინძურდა მდინარეები და ზღვები, ნიადაგი და ატმოსფერო, ანტარქტიდაში გაჩნდა უოზონო „ფანჯრები"... ყოველივე ამან ადამიანები დაარწმუნა, რომ მათმა დაუფიქრებელმა საქმიანობამ ჩვენი პლანეტის ცოცხალი სამყაროს შემდგომი არსებობა კატასტროფის საფრთხის წინაშე დააყენა.

ასეთ სიტუაციაში ყველაფერს, რაც აღადგენს და ხელს შეუწყობს ჩვენი სასიცოცხლო გარემოს გაჯანსაღებას, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, და თურმე ამ სასიკეთო საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი პატარა მშრომელ მწერს — ფუტკარსაც შეაქვს.

ერთი შეხედვით, ეს ნაკლებ მოსალოდნელია ისეთი პატარა არსებისაგან, რომლის წონაც სულ 0,1 გრამს შეადგენს, მაგრამ თუ ფუტკრის „მოღვაწეობის" ყველა სფეროს ღრმად ჩავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რა შესძლებია ამ პატარა მწერს, როცა ის თავისი ოჯახის წევრებთან ერთად საქმიანობს — მათი რაოდენობა ხანდახან 100 ათასამდე აღწევს, საერთო წონა კი 10 კილოგრამია. სწორედ ამაზეა ნათქვამი, ძალა ერთობაშიაო.

ფუტკარი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერასოდეს ვიგემებდით სურნელოვან თაფლს და ათასტონობით ტკბილი ნექტარი ბუნებაში უსარგებლოდ დაიკარგებოდა.

ჩვენს საუკუნეში, მძლავრი ტექნიკური პროგრესის ხანაში, როდესაც საკვები პროდუქტები არცთუ იშვიათად გაჯღენთილია ადამიანის ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებებით, განსაკუთრებით ფასობს თვით ბუნების მიერ ნაბოძები სუფთა პროდუქტები. იაპონელთა თქმით, თაფლი ბუნებრივი პროდუქტების მეფეა. ფუტკრის სხვა პროდუქტებიც — სანთელი, დინდგელი, ფუტკრის შხამი, ყვავილის მტვერი, სადედე რძე — ხელს უწყობენ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასა და შენარჩუნებას, ძალების აღდგენას, სხვადასხვა დაავადების მკურნალობას, სიცოცხლის გახანგრძლივებას. სწორედ ამიტომაც უწოდებენ ფუტკრებს ფრთოსან ექიმებს.

სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის აუცილებელია ხილ-ბოსტნეულისა და სხვა საკვები მცენარეული კულტურების წარმოების გადიდება. სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მეფუტკრეობას, როგორც ენტომოფილური კულტურების (ისეთი მცენარეების, რომელთა ყვავილების დამტვერვა მწერების საშუალებით ხდება) ჯვარედინი დამტვერვის გზით მათი მოსავლიანობის გადიდების ეფექტურ საშუალებას, რაც ქვეყნის მასშტაბით 2,2 მილიარდი მანეთის დამატებითი შემოსავალია და იგი ფუტკრის პროდუქტებით მიღებულ შემოსავალს 8-10-ჯერ აღემატება.



მეთაფლია ფუტკარი ჩვენი პლანეტის ყველაზე სასარგებლო მწერია, უფუტკროდ გაღარიბდებოდა ველმინდვრები და ტყეები, გადაშენდებოდა 100 ათასზე მეტი სახეობის მცენარე.

ცნობილია ფუტკრის ბიომაუწყებლობის უნარი — მას შეუძლია სხვადასხვა სტიქიური უბედურებისა და, მათ შორის, მიწისძვრის წინასწარმეტყველება. ასე მოხდა, მაგალითად, 1988 წლის 7 დეკემბერს, სპიტაკის ცნობილი მიწისძვრის დროს, სომხეთის სოფელ დაშტამდემში. აქ ფუტკარმა მიწისძვრამდე ერთი საათით ადრე მიატოვა სკები და დეკემბრის სუსხიან ამინდში საფუტკრის თავზე დაიწყო საგანგაშო ფრენა. სამწუხაროდ, ფუტკრის ასეთი უცნაური ქცევის მიზეზს ადამიანები მხოლოდ მომხდარი უბედურების შემდეგ მიხვდნენ.

საფუტკრეს ხშირად და სამართლიანადაც უწოდებენ ჯანმრთელობის კერას. საფუტკრის სუფთა, გამჭვირვალე ჰაერი, რომელიც გაჯღენთილია ახალი თაფლის, ყვავილის მტვრისა და დინდგელის არომატით, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო მიკროკლიმატია. ამას სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს: მეფუტკრეები სხვა პროფესიის ადამიანებთან შედარებით უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ნაკლებად ავადდებიან, და ამასთან, ღრმად მოხუცებულობაშიც კი ინარჩუნებენ აქტიური ცხოვრებისა და შრომის უნარს.

როგორც ვხედავთ, ფუტკრის როლი ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ყოფილა და მას მრავალნაირი სიკეთის მოტანა შეუძლია ადამიანისათვის.

# გეომეტრია

(ციკლიდან „გიას სიზმარი")

**ფიქრია ქაჩლიშვილი**

მხატვარი
**ედუარდ ამბოკაძე**

გიამ ბოლო დროს სწავლას უკლო და ცელქობას უმატა, ამიტომ წლის ბოლოს გეომეტრიაში ორიანი გამოჰყვა.

აგვისტომდე დიდი დრო იყო დარჩენილი და მშობლებმა სოფელში წაიყვანეს.

გია მხიარულად ატარებდა დროს. მთელ დღეს დარბოდა ტყე-ღრეში, მდინარეში ბანაობდა.

ერთ ღამესაც სიზმარი ნახა: ვითომც ისა და გიო პაპა ერთ ტრიალ მინდორზე იდგნენ, დიდი სახაზავი ეჭირათ და ხის ვეება ფარგლით მინდორს ზომავდნენ.

— შვილო, ერთი ეს ნაკვეთი გავზომოთ, რამდენი ჰექტარი იქნება? — ჰკითხა პაპა გიომ შვილიშვილს.

გიამ გამოცდილი კაცივით გადახედა ნაკვეთს და თქვა:



— ამ ნაკვეთს ტრაპეციის ფორმა აქვს. ტრაპეციის ფართობი კი უდრის პარალელური გვერდების ნახევარჯამს, გამრავლებულს სიმაღლეზე.

და... გიამ მეტრიანი სახაზავით დაიწყო გაზომვა:

— ქვედა გვერდი ასი მეტრია, ზედა — სამოცი, სიმაღლე — ოთხმოცი, ესე იგი: $(100+60):2=80\cdot80=6400$ მ². რადგან ერთი ჰექტარი უდრის $100\times100=10.000$ მ², ამიტომ ჩვენი ნაკვეთის ფართობი იქნება 0,64 ჰექტარი.

— ყოჩაღ, ჩემო ვაჟკაცო! მაგრამ მე მინდა, აი, იმ სახლის გვერდით თავთავის გასალეწი კალოც მოვაწყოთ. აბა, როგორ გამოყოფ ნაკვეთს, ვნახოთ! — პაპამ გამომცდელად შეხედა გიას და ჭაღარა ულვაშზე გადაისვა ხელი.

გია ცოტა ხანს ჩაფიქრდა. მერე რვეულში რაღაც ჩაიწერა და წამოიძახა: — პაპა, აბა, მომაწოდე ათმეტრიანი თოკი და ხის პალო!

პაპამ ხის ნაჭერს წალდით წვერი ჩაუთალა და თოკიც მისცა. გიამ თოკის ერთ ბოლოზე დაამაგრა პალო და კალოს შუაში ჩაასო, მეორე ბოლოთი დიდი წრე შემოხაზა, მერე თავის რვეულს ჩაუჯდა და წერა დაიწყო.

წრის ფართობი უდრის $\Pi R^2$-ს, $\Pi$ მუდმივი რიცხვია და უდრის 3, 14. R რადიუსია და, ამ შემთხვევაში, უდრის 10 მეტრს.

$$\Pi R^2=3,14\times10^2=3,14\times100=$$

314 მ² ანუ, თუ ჰექტრებში გადავიყვანთ (გავყოფთ 10.000 მ²-ზე), მივიღებთ 0,03 ჰექტარს. ესე იგი ჩვენი კალოს ფართობიც სამი მეასედი ჰექტარი იქნება.

პაპას ეამა შვილიშვილის განსწავლულობა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა — შენ ისე კარგად იცი გეომეტრია, ალბათ ხუთიანიც გიწერია სკოლაშიო.

გიას გაახსენდა, რომ გეომეტრიაში საშემოდგომო გამოცდა ჰქონდა და სირცხვილით თვალები აუცრემლიანდა...

— ...გია, გაიღვიძე შვილო, ბიჭები გეძახიან, სათევზაოდ არ წამოვაო?! — შეანჯღრია პაპამ მძინარე შვილიშვილი.

— რაო?.. სად წამოვაო, ვინ არის? — სწრაფად წამოხტა ლოგინიდან გია და თავზე წამომდგარი პაპა რომ დაინახა, მიხვდა, რომ ყველაფერი სიზმარში ნახა და გული დასწყდა...

— მე არსად არ მივდივარ, სამეცადინო მაქვს გეომეტრიაში, — გაბუტულივით ჩაილაპარაკა, მკვირცხლად ჩაირბინა კიბე, წყაროზე ცივი წყლით დაიბანა ხელ-პირი, კარგა ხანს ივარჯიშა, მერე ბებიას გამომცხვარი ხაჭაპური გემრიელად მიირთვა და გეომეტრიის წიგნს მიუჯდა.

აგვისტოში გიამ გამოცდა ხუთზე ჩააბარა, გამოცდის მერე კი სიხარულით მიხტოდა ქუჩაში და თავისთვის ფიქრობდა, რა საჭირო და საინტერესო საგანი ყოფილა ეს გეომეტრიაო?!

---

— ბატონო დირექტორო, ოცდახუთი წელია, თქვენთან ვმუშაობ და ერთხელაც არ მითხოვნია ხელფასის მომატება.

— სწორედ ამიტომ დარჩით ჩვენთან ამდენ ხანს.

●

— ამ თვის ბოლომდე ათასი ფრანკი მჭირდება ძალიან, მთელი ღამეები არ მძინავს დარდისაგან.

— ნუ დარდობ, გენაცვალე, მე გამოგიყვან მდგომარეობიდან.

— მართლა?.. შენ მასესხებ ათას ფრანკს?

— არა... მე მხოლოდ შემიძლია გირჩიო, რომელი უფრო ეფექტური დასაძინებელი წამალი უნდა მიიღო.

●

ექთანი ერთ ძალზე დაზნეულ ექიმს გასძახის:

— ექიმო! ექიმო! ჩქარა მოდით, გვერდით ოთახში ქურდია!

— ძალიან კარგი, — პასუხობს ექიმი, — უთხარით, სასწრაფოდ გაიხადოს, მოვდივარ.

●

ახლად ჩაძინებულ ავადმყოფს ფრთხილად აღვიძებს ექთანი:

— გაიღვიძეთ, ბატონო!

— რაშია საქმე? ძლივს ჩამეძინა, თქვენ კი...

— დასაძინებელი წამლის მიღების დროა, ბატონო.

ფრანგულიდან თარგმნა ი. ბადავიძემ

## საინტერესო ამბავი

### კოსმოსური სხივების უცნაური არჩევანი

აბსოლუტურად ბნელ ოთახში ქალიშვილი წევს. მის თავს ზემოთ ურთულესი კონსტრუქციის ელექტრონული გადამწოდია, სახის წინ — პაწაწინა სარკე. იმ წამს, როცა ქალიშვილი სარკეში სინათლის სუსტ გაელვებას შენიშნავს, იგი მყისვე აჭერს თითს დამაფიქსირებელ მოწყობილობასთან მიერთებულ ღილაკს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალიშვილმა შენიშნა სამყაროს თვალუწვდენი სიღრმეებიდან ჩვენამდე მოღწეული კოსმოსური სხივი.

აღწერილი სურათი სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმის ეპიზოდი ნუ გეგონებათ. ეს არის ჩვეულებრივი ექსპერიმენტი, რომელიც რეგულარულად ტარდება ტურინის (იტალია) უნივერსიტეტში. ანჯელო დე მარკო იკვლევს მამაკაცებისა და ქალების შესაძლებლობას, „დაიჭირონ“ კოსმოსური სხივების შემადგენლობაში შემავალი კოსმოსური ნაწილაკები. ცნობილია, რომ ადამიანის თვალის ბადურა ძალზე მაღალი მგრძნობელობისაა, თითქმის ისეთივე, როგორიც ელემენტარულ ნაწილაკთა მრიცხველი, რომელსაც ფიზიკოსები კოსმოსურ ნაწილაკთა რეგისტრაციისათვის იყენებენ. ის, რომ ადამიანის თვალს შეუძლია, შენიშნოს კოსმოსური სხივები, ჯერ კიდევ 1969 წლიდანაა ცნობილი, როცა „აპოლონ-2“-ის ამერიკელმა ასტრონავტებმა ვან-ალენის სარტყლის გადაკვეთისას შენიშნეს კოსმოსური გამოსხივება წერტილებისა და ხაზების სახით. ასეთ სიმაღლეზე ამის დანახვა, საერთოდ, შესაძლებელია, დედამიწაზე კი გამოსხივების შემჩნევა მხოლოდ ზუსტი და სრულყოფილი ტექნიკის მეოხებით შეიძლება.

ანჯელო დე მარკო ცდილობს დაადგინოს, თუ რატომ შეუძლია ზოგ ადამიანს, დაინახოს კოსმოსური სხივები, ზოგს კი ამის უნარი არ გააჩნია. გამოირკვა, რომ კოსმოსური სხივების მიმართ უფრო მგრძნობიარენი არიან ქალები, განსაკუთრებით — შავგვრემანები, რომლებიც, ამავე დროს, პროფესიულ ან სამოყვარულო სპორტს მისდევენ. ჯერჯერობით უცნობია, რატომ ხდება ეს.

## ჩვენი სამზარეულო

განყოფილებას მიჰყავს
ნ. ავალიანს

შეგიძლია თამამად გაუმასპინძლდე სტუმარს ამ ნამცხვრით, მით უფრო, თუ მას გემრიელად მომზადებულ ყავასთან ერთად შესთავაზებ.

### ვაშლის ღვეზელი

მომინანქრებულ ჭურჭელში მოათავსე 150 გრამი შერბილებული კარაქი, 50 გრამი არაყანი, 1 კვერცხის ცილა, 50 გრამი შაქრის ფხვნილი, ჩაწურე 1 ლიმონის წვენი. ეს ყველაფერი ერთმანეთში კარგად აურიე და მხოლოდ ამის შემდეგ შეაზილე 250 გრამი უმაღლესი ხარისხის ფქვილი. მიღებული ცომი გაყავი ორ თანატოლ ნაწილად. აიღე ცომის პირველი ნაჭერი, კარგად გააბრტყელე, მოათავსე ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ საცხობ ყალიბში და ზედ თანაბრად მოაბნიე საჩურთი, შემდეგ ამ მასას ზედ დააფინე ასეთნაირადვე გაბრტყელებული ცომის მეორე ნაწილიც, გადაუსვი ღვეზელის საცომე მასალას დარჩენილი კვერცხის გული, მოაყარე 50-100 გრამი დაჩეჩქვილი ნიგოზი და ცოტაოდენი შაქრის ფხვნილი, შედგი საშუალო სიმხურვალის გაზქურაში (ცხვება 25-30 წთ-ში.)

ღვეზელის საჩურთი მზადდება შემდეგნაირად:

მსხვილ სახეხზე გახეხე 1 კგ. „ანტონოვკა“ (ან სხვა რომელიმე რბილი ჯიშის ვაშლი) და, 200 გრამ შაქრის ფხვნილთან ერთად, 5-6 წუთის განმავლობაში ადუღე. უკვე გაციებულს შეურიე 50 გრამი ქიშმიში და 2 სუფრის კოვზი კონიაკი.

### ყავის მომზადება

თავდაპირველად ყავის ნედლი მარცვალი უნდა მოხალო ნელ ცეცხლზე, თან ხშირად ურიო. ყავამ წაბლისფერი და, არა შავი, ფერი უნდა მიიღოს. კარგად დაიხსომე: ზედმეტად მოხალული ყავა კარგავს ეთეროვან ზეთებს და მომწარო გემოს იღებს. უკვე მოხალული ყავის მარცვალი გასაცივებლად აუცილებლად უნდა გადაიტანო საცერზე ან სუფთა ფიცარზე და შემდეგ, კარგად



რომ გაცივდება, მშრალ ადგილას შეინახო. დაფქული ყავა შენახვის დროს ნაწილობრივ კარგავს არომატსა და გემოს, ამიტომ უნდა შეეცადო, იგი დაფქვა საჭიროებისდა მიხედვით. დაფქვა ხდება სპეციალურ ყავის საფქვავში. რაც უფრო წმინდადაა დაფქული ყავა, იმდენად მეტია მისი ნაყენიც. დაფქულ, გამზადებულ ყავას (ერთი-ერთნახევარი ჩაის კოვზი ერთ ყავის ფინჯან წყალზე — გემოვნების მიხედვით) დაასხი ცხელი წყალი, დადგი ცეცხლზე და, როგორც კი ადუღებას დაიწყებს, მაშინვე გადმოდგი, ცოტა ხანს გააჩერე და ჩაასხი ფინჯნებში. შაქარი შეიძლება სუფრაზე ყავასთან ერთად ცალკე მიიტანო, ასევე, ცალკე შეგიძლია მიიტანო სუფრაზე შესაფერისი ჭურჭლით რძე ან ნაღები. შაქარი ყავადანში ყავასთან ერთადაც შეიძლება წამოადუღოთ: ამისათვის აიღე იმდენი თითო ჩაის კოვზი ყავა და შაქრის ფხვნილი, რამდენი ფინჯანი ყავის მოდუღებაც გინდა, ჩაყარე ყავადანში, კარგად აურიე და ზედ დაასხი იმდენი ფინჯანი წყალი, რამდენის მოდუღებაც გსურს.

არ დაგავიწყდეს: ყავამ უცებ იცის ადუღება, როგორც კი შეატყობ, რომ იგი ადუღებამდე მივიდა, გაზი გამორთე და ყავადანი გადმოდგი. ყავა უკვე მზად არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯამბაზები

## საფორტეპიანო პიესა




თეა ხატიაშვილი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის მეექვსე კლასის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეა. იგი სკოლის ერთ-ერთი გამოცდილი პედაგოგის — მირა კაჭარავას კლასში სწავლობს. გოგონა ბეჯითად ეუფლება რთულ საფორტეპიანო რეპერტუარს, რომლის პროგრამაშიც შედის კლასიკური, რომანტიკული, თანამედროვე მუსიკის ნიმუშები.

თეა საკუთარ ნაწარმოებებსაც თხზავს. მისი კომპოზიციის მასწავლებლის, ალ. შანიძის სიტყვით, თეას საკუთარი ჰანგების ფორტეპიანოზე აწყობა 5 წლის ასაკიდან დაუწყია. დღეს იგი არაერთი ნაწარმოების ავტორია, რომლებიც ხშირად აჟღერებულა სკოლისა თუ „საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულის" კონცერტებზე.

გთავაზობთ თეა ხატიაშვილის საფორტეპიანო პიესას „ჯამბაზები".

# საინტერესო სიახლენი

### კერამიკული სასრიალო

გდრ-ის სამთო მეთხილამურეები ამტკიცებენ, რომ კერამიკული ფილებით მოფენილი სასრიალო ტრასა ჩვეულებრივ თოვლის საფარს არაფრით ჩამოუვარდება. ასეთი ტრასები განსაკუთრებით იმ ქვეყნებს გამოადგებათ, სადაც მცირე თოვლი მოდის ხოლმე.

### 21-ე საუკუნის ველოსიპედი

21-ე საუკუნის ველოსიპედზე კონსტრუქტორები უკვე ამჟამად ფიქრობენ. აი, დახედეთ ნახატებს.

პირველი პროექტი ავსტრალიელებმა შექმნეს. მისი თავისებურება ასეთია: პედლები წინა თვლის ორსიჩქარიანი მორგვის ღერძზეა დასმული. რა თქმა უნდა, ეს რამდენადმე ამცირებს სიჩქარეს, მაგრამ მესამე თვლის წყალობით, რომელიც უკანა თვალზეა დამონტაჟებული, ველოსიპედი შეიძლება სწრაფად იქცეს სამთვლიან მანქანად. ეს განსაკუთრებით მოსახერხებელია, თუ რაიმე ბარგი გაქვთ გადასატანი.

მეორე კონსტრუქცია იტალიაში დაამუშავეს. მანებიანი თვლები აქ პლასტიკის ბორბლებითაა შეცვლილი, რითაც უმჯობესდება ველოსიპედის აეროდინამიკური თვისებები. მანქანის წონა სულ 8,5 კილოგრამია, მას შვიდი სიჩქარე აქვს, აღჭურვილია





კომპიუტერით, რომელიც ზომავს სიჩქარეს, განვლილ მანძილსა და ველოსიპედისტის პულსსაც კი.

### კატასტროფათა ეპიცენტრში

მექსიკაში მუშაობს უნიკალური სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი, რომელიც სტიქიურ უბედურებათა და კატასტროფათა წინასწარმეტყველებას ემსახურება. მექსიკა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კატასტროფების რაოდენობით — კარიბის ზღვაში იბადება გრიგალები, წყნარი ოკეანიდან თავს ატყდება მძლავრი ცუნამები, ხოლო ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს ხშირად არყევს ძლიერი მიწისძვრები.

### „მერაქტივი"

ფრანგმა ქიმიკოსებმა მიიღეს პრეპარატი „მერაქტივი", რომლითაც ადეზინფიცირებენ ზღვის პლაჟს. ეს ნამდვილად საჭიროა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი გრამი ზღვისპირა სილა 5000-მდე ბაქტერიას შეიცავს, საკურორტო სეზონში კი მათი რიცხვი 35000-ს აღწევს.

### ახალი შპალერი

შპალერის მთავარი ღირსებებია მისი სიმტკიცე, ჰაერგამტარობა და მედეგობა ტენის მიმართ. საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც განსაკუთრებულ სიმტკიცეს აძლევს შპალერს. ამას აღწევენ შპალერის სინთეტიკური ფისითა და ალუმინის სულფატით დამუშავების გზით.

## გამოვიგონოთ სკამი




„გამოვიგონოთ სკამი" — ეს სიტყვები ისევე ჟღერს, როგორც, მაგალითად, „გამოვიგონოთ ველოსიპედი". მაგრამ დიზაინერების ფანტაზია ამოუწურავია და ისინი ხშირად გვთავაზობენ სკამის სულ ახალ-ახალ, ხშირად სრულიად მოულოდნელ ფორმებსა და კონსტრუქციებს. აი, ზოგიერთი მათგანი:

ნორვეგიელი დიზაინერები, რომლებმაც პატენტი აიღეს ამ უჩვეულო სკამისათვის (I), მიიჩნევენ, რომ ჩვეული პოზა, რომელსაც მჯდომარე ადამიანი იღებს, უნდა შეიცვალოს. რატომ არ შეიძლება დავუმატოთ კონსტრუქციას, თუნდაც, მუხლების საყრდენი? გამომგონებლები ამტკიცებენ, რომ ასეთი კონსტრუქცია სასარგებლოა სხეულისათვის და ხანგრძლივი ჯდომისას ადამიანი ნაკლებად იღლება. გვთავაზობენ ნაკეთობის სხვადასხვა ვარიანტს — უთავსა და გორგოლაჭიანს, აგრეთვე სკამ-საქანელას.

(2) მოდელს, რომელსაც „დისკო" დაარქვეს და ავეჯს ცოტათი თუ ჰგავს, უეჭველი ღირსება აქვს: რგოლურ ჩარჩოზე გადაკრული ელასტიკური მასალა სხეულის სიმძიმის გავლენით მჯდომარისათვის მოხერხებულ ფორმას იღებს. ელასტიკური დისკოს დახრის კუთხე შეიძლება შეიცვალოს.

საინტერესოა კონსტრუქცია „სკამი-ხელჯოხი" (3). მასიურ სახელურს ოდნავ მოაბრუნებ და ხელჯოხი მაშინვე სკამად იქცევა. როგორც ჩანს, ეს კონსტრუქცია ძალზე მოხერხებული იქნება მოხუცებისა და ხანგრძლივი გასეირნების მოყვარულთათვის.

## ᲐᲪᲠᲔᲑᲘ... ᲐᲪᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ

ცნობილია, რომ ჩუტყვავილის აცრის ფუძემდებელი იყო ექიმი ედუარდ ჯენერი, (1749-1823 წ.), მაგრამ მანამდე, უხსოვარი დროიდან მსოფლიოს ხალხები იყენებდნენ აცრას. ძველ ჩინეთში დაავადებული ადამიანის სხეულს ქერქს ჩამოაცლიდნენ და ჯანმრთელ ადამიანს შეასუნთქებდნენ. ეს საკმაოდ საშიში პროცედურა იყო. მხოლოდ XVIII საუკუნეში მონახა ექიმმა ჯენერმა ჩუტყვავილის პროფილაქტიკის მეთოდი, მან პირველად აცრა ადამიანი.

## ᲐᲡᲘᲠᲘᲔᲚᲘ ᲛᲧᲕᲘᲜᲗᲐᲕᲔᲑᲘ

ენციკლოპედიის ცნობით, პირველად აკვალანგი 1943 წელს ფრანგებმა — ჟ. ი. კუსტომ და ე. განიანმა გამოიგონეს, მაგრამ ადამიანები ზღვის ფსკერზე მანამდეც ჩადიოდნენ. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში მყვინთავები თავისებურ საყვინთაო კოსტიუმებს იყენებდნენ.

პირველი „აკვალანგი" ასირიელებმა ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-15 საუკუნემდე გამოიყენეს. ეს იყო თხის გაბერილი ტყავი, რომელიც ჰაერგამტარი მილით იყო აღჭურვილი. მყვინთავები თავს რაიმე ნივთით იმძიმებდნენ და ტყავზე ხელშემოხვეულნი ეშვებოდნენ. ყველაზე გამოცდილი მყვინთავები წყალქვეშ ოც წუთსაც კი ძლებდნენ.



## ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ცნობილია, რომ საფრანგეთის ეროვნული დროშა სამფეროვანია: ლურჯ, თეთრ და წითელზოლებიანი. ზიგანე სხვადასხვანაირია, შესაბამისად — 30:33:37. ეს ისეა გათვალისწინებული, რომ მაყურებელი ფერებს ერთნაირად აღიქვამს.

უფრო ნაკლებადაა ცნობილი ის, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ თავისი დროშა საფრანგეთის დროშას მიამსგავსა, მაგალითად, ირლანდიამ (მწვანე, თეთრი, ნარინჯისფერი). დროშების შექმნა განპირობებული იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი ამ ხალხების სიმპათიით.

## ᲬᲧᲐᲚᲘ — ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ

სამწუხაროდ, გარემოს გაბინძურებამ უკვე მთელი პლანეტა მოიცვა. ამჟამად დედამიწაზე ადგილი არ არის, სადაც მოსახლეობა ეკოლოგიური კრიზისის შედეგებს არ გრძნობდეს.

მაგალითად, ნიგერის რესპუბლიკაში სამრეწველო ზონიდან 1000 კილომეტრის მოშორებით მდინარე მოედინება. მიუხედავად ასეთი სიშორისა, მისი წყალი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. აჭაური ქალები განაპირა ადგილებში ჭებს თხრიან და იქ დაგუბებული წყლით ავსებენ ჭურჭელს. მათი აზრით, მხოლოდ ნიადაგით გაფილტრული წყალია სასმელად ვარგისი...

## ᲗᲐᲤᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ

ფუტკრის ფიჭის გვერდები გეომეტრიულად იმდენად ზუსტნი არიან, რომ XVII საუკუნის სპეციალისტ-მეტროლოგებს უნდოდათ ფიჭის ერთი გვერდი (5, 37 მმ) სიგრძის საზომ ერთეულადაც კი გამოეყენებინათ.

ერთი კილოგრამი თაფლის მისაღებად ფუტკარმა 4-ჯერ მაინც უნდა შემოუფრინოს დედამიწას (რადგან ერთი ფრენის შემდეგ მას 0,02 გრ თაფლი შემოაქვს ფიჭაში).

## ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝᲐ

ერთი ტონა ქაღალდის მისაღებად საჭიროა მოიჭრას 170 ხე. ეს დაახლოებით ერთი საფეხბურთო მოედნის ზომის ტერიტორიაა. მართალია, იგი ჰექტარზე ნაკლებია, მაგრამ საგანგაშოა ის, რომ ეს ყოველ წამს ხდება.

## „ᲤᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲘᲬᲕᲘᲡ"

აიღეთ 5-10 ცალი ხუთკაპიკიანი, შეახვიეთ ერთ ფენა ბატისტის ნაჭერში და სპირტქურის ალზე გააცხელეთ. ქსოვილი არ იწვის. რატომ? — სპილენძი სითბოს კარგი გამტარია, სპირტქურის სითბოს სპილენძი შთანთქავს და ქსოვილი ვერ ასწრებს დაწვას.

## ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲚᲐᲜᲘ

მოამზადეთ რკინის ქლორიდის ხსნარი და ამ ხსნარში ამოვლებული კალმით რაიმე დაწერეთ ქაღალდზე. გაშრობის შემდეგ წარწერა გაუფერულდება. ამის შემდეგ ნაწერი დაასველეთ ჩაის ნაყენის ხსნარით. წარწერა აღდგება.

## „ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ"

ერთი ჩაის კოვზი იოდის ფხვნილი იმავე რაოდენობის ალუმინის ფხვნილს შეურიეთ, ნარევი ბორცვისებურად დაყარეთ აზბესტის ბადეზე და პიპეტით წყალი დააწვეთეთ. ნარევი აინთება და ცეცხლის ენები წარმოიქმნება.

## „ᲑᲔᲜᲒᲐᲚᲘᲣᲠᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ"

არსებობს ყვითელი, მწვანე და წითელი ფერის ბენგალიური ცეცხლის მიღების საშუალებები. ამისათვის საჭიროა: 1) 61 გრ კალიუმის ქლორატი. 33 გრ გოგირდი, 30 გრ ნატრიუმის კარბონატი (ყვითელი);

2) 60 გრ კალიუმის კარბონატი, 16 გრ გოგირდი, 24 გრ ბარიუმის კარბონატი (მწვანე);

3) 10 გრ კალიუმის ქლორიდი, 22 გრ ნახშირი, 62 გრ სტრონციუმის ნიტრატი (წითელი).




## ქიმიური „სასწაულები"

ყველა ჩამოთვლილი ნივთიერება ცალცალკე გააშრეთ ხაშრობ კარადაში და გააფხვიერეთ ფაიფურის როდინში, შემდეგ ხქელ ქაღალდზე კარგად შეურიეთ ერთმანეთს. ნარევი რომ ლითონის წკირზე დამაგრდეს, გამოიყენეთ სადურგლო წებოს ხსნარი, რომელშიც წინასწარ აურიეთ აღებულ ნივთიერებათა ნარევი, მასში ამოავლეთ ლითონის წკირი და „ბენგალიური ცეცხლიც" მზადაა.

## ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲚᲐᲒᲛᲘᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘ

ჭიქაში სისხლის ყვითელი მარილის ხსნარი — კალიუმის ჰექსაციანოფერატი მოათავსეთ, რაიმე ქსოვილის ნაჭერში შაბიამნის კრისტალები გამოკარით და ჩაჰკიდეთ ჭიქაში ისე, რომ სითხეს ოდნავ ეხებოდეს. შეკრული კვანძიდან ზრდას იწყებს მოყვითალო-მოწითალო ძაფები. ჭიქაში იზრდება სტალაგმიტები, ისე, როგორც გამოქვაბულში.

თუ ჭიქის ფსკერზე შაბიამნის პატარა ნატეხს ჩაუშვებთ, იქიდან „ხავსივით" ამოიზრდება „სტალაგმიტები".

ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲒᲝᲠᲯᲝᲚᲐᲫᲔ




● ვიდრე ამ ქვეყნად მაცივარი გაჩნდებოდა, ქალაქელები ახალ კვერცხს ინახავდნენ რაიმე ქილაში, რომელშიც კირის ჩაქრობის შემდეგ დარჩენილ წყალს ასხამდნენ. შეგიძლია ამ ხერხის ეფექტიანობაში თავადაც დარწმუნდე. თუ ნაჭუჭი დაუზიანებელია, კვერცხები რამდენიმე თვის განმავლობაში შეინახება.

● თუ სალებავის ან ლაქის თუნუქის ქილას კონსერვის გასახსნელი დანით ისე გაჭრი, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები, და მას ხის სადგარზე დაამაგრებ, მიიღებ მშვენიერ ჭურჭელს სალებავისათვის. იგი განსაკუთრებით მოსახერხებელია სამღებრო ლილვაკით მუშაობისას.

● თუ მოგზაურობისას ველოსიპედის კამერა გაგეხვრიტა, ნუ დაღონდები: დაზიანებულ ადგილს გამდნარი პოლიეთილენი დააწვეთე (პაკეტს ყოველთვის იშოვნი) და შეგიძლია მშვიდად განაგრძო გზა.

● თუ წნელებისაგან კონუსურ ლობურას გააკეთებ და წიწილებს შიგ შესხამ, ჯერ ერთი, მოზრდილი ფრინველები საკენკში ვერ შეეცილებიან, და მეორე, არც მიმინოს და ქორის შიში გექნება.

● ბინაში ტელევიზიო ანტენის კაბელის გაყვანისას შეგიძლია გამოიყენო კავები, რომლებიც თხელი თუნუქისაგან, მაგალითად, ძველი ნაკონსერვო ხუფებისგანაა გამოჭრილი.

● გასწავლით ბინიდან ტარაკანების გარეკვის კიდევ ერთ ხერხს: საკმარისია კედლებზე აქა-იქ აყვავებული ქერის კონები ჩამოკიდო.

● ლითონის ქვაბის სახელურები ხშირად ისე ხურდება, შეიძლება თითები დაგეწვას. თუ ლითონის სახელურებს პლასტმასის გარსიან მავთულს დაახვევ, ამ უსიამოვნებას ადვილად აიცილებ.
















# სარჩევი

საუბარი ა. ბაგაშვილთან . . . . . . . გარეკ. 2
დ. ლობჟანიძე — გასროლა ნაკრძალში (მოთხრობა) . . . 2
ნ. ჟედია — ლექსები . . . . .
გ. ბეგეჭკორი — აკაკის ცხოვრება (წერილი) . . . . . 8
შ. მარკოზაშვილი — აკაკი და „ნაკადულის" რედაქცია (წერილი) . . . . . . . . . . 8
ლ. გოგებაშვილი — ლექსები . . . . . . 10
ნ. ქადაგიძე — რატომ ფხიზლობს გულისაბა ღამით (ზღაპარი) . . . . . . . . . . 11
ი. გოგებაშვილი — ბიბლიური ისტორია . . . . . . 14
ნ. ფავლენიშვილი — „შთაბერე ყრმასა ძლიერი სული" (ნარკვევი) . . . . . . . . . 16
ზ. სარჯველაძე — მწერალი, გადამწერი (წერილი) . . 18
შ. ჯექსონი — უმორჩილესად მაპატიეთ (მოთხრობა) . . 20
თანამედროვე რიტმები (წერილი) . . . . . . . 23
აისი . . . . . . . . . . . . 24
გ. თაქთაქიშვილი — ეკოლოგია და ფუტკარი (წერილი) 26
ფ. ქაჩლიშვილი — გეომეტრია (მოთხრობა) . . . . . 27
უცხოური იუმორი . . . . . . . . . 27
საინტერესო თემაზე; ჩვენი სამზარეულო . . . . . 28
საფორტეპიანო პიესა (მუსიკალური ნოტი) . . . . . 29
საინტერესო სიახლენი; სახალისო ქიმია . . . . . . 30
ჯადოსნური სარკე; გამოვიგონოთ სკამი (წერილი) . . 31
გ ა მ ო გ ა დ გ ე ბ ა . . . . . . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ვ. ფოცხიშვილის ნახატი

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ბელინსკის ქ. № 2, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ.მგ. მდივნის — 93-97-03, 93-58-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.06 90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 08. 90 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1441. ტირაჟი 117000 ეგზ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ბელინსკის ქ. № 2.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Белинского, 2.
Формат 60×90¹/₈, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,85.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.

© „ნაკადული", 1990 წ.




## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენათა ერთობლიობა; 3. რისამე გამოქვეყნება, საყოველთაოდ გამოცხადება; 5. რაიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება; 7. დიდი მტაცებელი ფრინველი; 9. ხის მოზრდილი სასმისი; 10. რაიმე ფაქტის დამადასტურებელი საბუთი; 11. ნიშანი, რომელიც აღნიშნავს ტემპერატურას ნულს ზემოთ; 13. ძველი კინოფილმების ჩვენება-განხილვა გარკვეული თანამიმდევრობით; 14. საკონტროლო დაფა, რომელზედაც მოთავსებულია სხვადასხვა პირობითი გამოსახულება; 16. საქართველოს ქალაქი; 18. ეკონომიკური ან ტექნიკური მაჩვენებელი ნორმებისა, რომელთა შესაბამისადაც წარმოებს რაიმე მუშაობა; 19. მსახიობი; 20. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი; 21. ნუსხა; 25. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 31. ქართული ხალხური ანდაზა; 34. მდინარე ალმა-ატის ოლქში; 36. ქსოვილის ვიწრო ნაჭერი; 37. მდინარე უდმურტეთის დედაქალაქ იჟევსკში; 39. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ქალაქი; 44. სამეცნიერო წოდებულება; 45. ხალხის ან ტომის ყოფისა და კულტურის სპეციალისტი; 46. ქართული საესტრადო ანსამბლი; 47. სასპორტო ინვენტარი; 48. ჯოლგოსანთა ოჯახის მწვანილი; 49. ნახშირბადიანი ლითონი, რომელიც გამოდნობილია რკინის მადნისაგან; 50. ჭადრაკის სწრაფი თამაში; 51. გარიყრაყი; 52. სუბტროპიკული მცენარე; 53. რაიმე მოქმედების, საქმიანობის შეთანხმება; 54. თავისებური ხორციანი ბრინჯის შეჭამადი.

**შვეულად:** 2. ქართული ხალხური ანდაზა; 4. მდგომარეობა, როდესაც მოპიდავე ხალიჩაზეა დაჩოქილი ან ხელებით ეყრდნობა მას; 6. მთათა სისტემა აზიაში; 8. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 10. ზღვის დიდი კიბო, გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში; 12. საკონდიტრო ნაწარმი; 15. თევზის კვერცხები; 17. კონტინენტი; 18. მღრღნელი ცხოველი წავისებრთა ოჯახისა; 21. რისამე დამადასტურებელი ცნობა; 22. წელიწადის თვე; 23. ღვინის ჭინჭლა; 24. ძველებური გრძელი უტარო მათრახი; 26. განჯერაკი; 27. კირქვის გამოწვით მიღებული თეთრი ნივთიერება; 28. ნიაყი; 29. გლუვძირიანი, სახელურიანი გასახურებელი ხელსაწყო ქსოვილის გასასწორებლად; 30. ცხვრის ჯოგი; 32. რაიმე საგნის მონახაზი, კონტური; 33. საქართველოს კურორტი; 35. რაიმე სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული პირი ან გუნდი; 38. მცოხნავი ცხოველი, აფრიკის ბინადარი; 40. ბებერი მუხა; 41. გემის გვერდითა კედელი; 42. სიღნაღის რაიონის სოფელი; 43. თავდასხმა.

შეადგინა
ალ. გორგიშელმა



## შარადა

ვინმესაგან ფარულად და
მალულად რომ კეთდება,
როგორ ვამბობთ:
რის უკანო?
გაიხსენო ეგება.
ხუთი ბგერით გამოითქმის,
დასასრული აკლდება.
ანბანიდან მეთორმეტე
ასო თავში დაჯდება.
ზნეობაზე მოძღვრებამ კი
დათმოს ბოლო მარცვალი.
მერე შეკრებ და ქალაქის
სახელს მეტყვი, რაც არი.

შ. ამირანაშვილი

## პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულაზე"

### კროსვორდი

**შვეულად:** 1. კრედო; 2. მარაო; 3. ბოგა; 4. კუბა; 6. იდეა; 7. ეტლი; 8. ნიტრობაქტერია; 11. რევოკაცია; 13. გლუბოკაია; 14. კიცმანი; 15. ანათემა; 21. იაია; 22. არმია; 23. ბარი; 24. ქერი; 26. კასრი; 26. ველი.

**თარაზულად:** 3. ბობრიკი; 5. სიხარბე; 9. დუბლირება; 10. დარჩო; 12. ორგია; 16. ნიგროზინი; 17. რეკლამა; 18. ათერომა; 19. ანგსტრემი; 20. ლიანა; 25. კრავი; 27. რეაგირება; 28. ალქიმია; 29. ნიგროლი.

### შარადები

მტერი, ვანი, მტევანი;
თავი, თავი, თავთავი.

### გამოცანა




### გამოცანები

ქათამი და კვერცხი; კალია; სიმინდის ტარო; სკამი.



### თავსატეხი

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ს | ა | ლ | ა | მ | უ | რ | ი |
| | | მ | უ | ხ | ა | მ | ბ | ა | ზ | ი |
| | | | ლ | ო | დ | ი | ნ | ი | | |
| ბ | ა | ღ | ი | | | | | | | |
| | | | კ | უ | რ | თ | ხ | ე | ვ | ა |
| | მ | გ | ო | ს | ა | ნ | ი | | | |

ნ160/107

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეტავი, რაზე ფიქრობს ეს დიდთვალება ბიჭუნა? და ჩვენ რა ფიქრები გვიჩნდება, მის შემყურეთ?

როგორი ქართველი დადგება მისგან? გაითავისებს თუ არა მამა-პაპის ნაშრომ-ნაღვაწევს? იმუშავებს თუ არა მშობლიური ქვეყნის სასიკეთოდ? მოახმარს თუ არა მთელ თავის ენერგიას ერის სამსახურს?

ალბათ...

იბრძოლებს თუ არა დამოუკიდებელი საქართველოს ამაღლება-გაძლიერებისათვის? გაუზრდის თუ არა მას მრავალ შვილს, ქალებსა და ვაჟებს?

ალბათ...

დახვდება თუ არა მტერს მტრულად და მოყვარეს — მოყვრულად? იქნება თუ არა სამართლიანი, გონიერი და შორსმჭვრეტელი?

ალბათ!